ხობის მოამბე

№16 (7176)
22 დეკემბერი,
პარასკევი, 2023 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

მრავალ დამდეგ 2024 შობა-ახალ წელს! 2024

გილოცავთ,

14 დეკემბერი–დიდი ისტორიული გამარჯვების დღე, საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა!

ირაკლი ღარიბაშვილი: დღევანდელი ისტორიული დღე ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის გამარჯვება. ჩვენ ვიბრძოლეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!

დიდი სიამაყით და დიდი სიხარულით გილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას–საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა,–ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ყველას მოგესალმებით, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! დიდი სიამაყით და დიდი სიხარულით გილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას–საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა.

გილოცავთ ყველას! მე მინდა, თითოეულ მოქალაქეს მოგილოცოთ დღევანდელი ისტორიული დღე. ეს ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის გამარჯვება. ეს ნამდვილად არის ღირსეულად მოპოვებული, დამსახურებული სტატუსი, რომელიც ჩვენ, ხელისუფლებამ, ჩვენს ხალხთან ერთად და ჩვენი ხალხისთვის მოიპოვა. ჩვენ ვიბრძოლეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ.

მე მინდა, ჩემი გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ჩვენი ევროპელი მეგობრების მიმართ. პირველ რიგში, მინდა დავიწყო ჩემი მადლობით ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენის მიმართ. მე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ შარლ მიშელს, რომელმაც ახლა დამირეკა და პირადად მომილოცა დღევანდელი დღე და ეს ისტორიული გამარჯვება.

მე ასევე მაქვს პატივი, გადმოგცეთ მისი მილოცვა ქართველი ხალხისადმი. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ ვარჰეის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩართული იყო და იყო ერთ-ერთი მთავარი გულშემატკივარი ქალბატონ ურსულასთან და ბატონ შარლ მიშელთან ერთად და რაც მთავარია–ევროკავშირის 27-ვე ქვეყნის თითოეულ ლიდერს მე მინდა მადლობა გადავუხადო ერთსულოვნებისთვის და ერთხმად გამოხატული ძლიერი მხარდაჭერისა და ნდობისთვის“,–განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა გამარჯვება მიულოცა გუნდის თითოეულ წევრსა და პარტიის დამფუძნებელს–ბიძინა ივანიშვილს.

„მინდა განსაკუთრებულად მივულოცო დღევანდელი ისტორიული გამარჯვება ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, მთავრობის თითოეულ წევრს, ათასობით საჯარო მოხელეს, ჩვენს პარლამენტს, ჩვენს პარტიას, მმართველ გუნდს, თითოეულ წევრს, ვინც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ამ დიდი ისტორიული გამარჯვების მიღწევაში.

მინდა მივულოცო ყველას. მინდა მივულოცო ეს დღე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს–ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის მმართველობამაც მოიტანა სწორედ დღევანდელი დღე და ეს გამარჯვება და ეს წარმატება. 2012 წლიდან მოყოლებული ჩვენმა გუნდმა, ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა, მიაღწია მაქსიმუმს და დღევანდელი დღე შეიძლება ითქვას, არის ერთგვარი დაგვირგვინება ჩვენი წარმატებული მმართველობისა.

მე მხვდა წილად პატივი, რომ ჩვენი ქვეყნის სახელითა და ჩვენი გუნდის სახელით ხელი მომეწერა ჯერ ასოცირების შეთანხმებაზე, შემდეგ ჩემი მმართველობის პირველი პრემიერობის დროს ჩვენ წარმატებით დავასრულეთ უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, შარშან უკვე მე მქონდა პატივი, რომ უკვე ოფიციალურად ჩვენი ქვეყნის სახელით შემეტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. შარშან მივიღეთ ევროპული პერსპექტივა, რითაც დამტკიცდა, რომ ჩვენი ქვეყანა გახდება ევროპული ოჯახის წევრი და დღეს უკვე 14 დეკემბერი ჩაიწერება როგორც ისტორიული თარიღი.

საქართველო დღეიდან არის ევროპული სახელმწიფო, ევროპული ქვეყანა. საქართველო არის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ასე რომ, ეს გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ძვირფასო მოქალაქენო, ეს არის ჩვენი შრომის, ჩვენი ბრძოლის შედეგი და კიდევ ერთხელ მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ისტორიული გამარჯვების საქმეში თითოეული აგური დადო და ეს გამარჯვება მოუტანა ჩვენს ხალხს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“, - განაცხადა პრემიერმა.

თავისუფლების მოედანზე გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: პარლამენტის თავმჯდომარე ***შალვა პაპუაშვილმა,*** *„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე* ***ირაკლი კობახიძემ,*** *„ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერმა* ***კახა კალაძემ,*** *ევროკავშირის ელჩმა საქართველოში* ***პაველ ჰერჩინსკიმ.*** *სცენაზე მიიწვიეს ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები საქართველოში.*

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

გილოცავთ და გლოცავთ!

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის განცხადებას ავრცელებს.

„დღეს გამორჩეული დღეა, რადგან ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებით გვეხსნება ახალი შესაძლებლობები ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სტაბილურობისა და საერთაშორისო ურთიერთობებში სტატუსის ამაღლებისა; ასევე, კულტურული, მეცნიერული, ტექნიკური და ეკონომიკური წინსვლისა.

ვიმედოვნებთ, რომ ეს კავშირი ურთიერთგამამდიდრებელი იქნება და ჩვენი ქვეყნის ქრისტიანული ტრადიციების და სულიერი ფასეულობების განმტკიცებასაც შეუწყობს ხელს.

კანდიდატის სტატუსის მიღებაში ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების დიდი ძალისხმევა, ჩვენი ხალხის მონდომება და მრავალი ადამიანის შრომაა ჩადებული; ამ გზის გაკაფვაში დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს ყველა ხელისუფლებასაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

გილოცავთ და გლოცავთ.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ინებოს ღმერთმა საქართველოს ერთობა, მშვიდობა და წარმატებული მომავალი“,–ნათქვამია ილიაა მეორის განცხადებაში.

ძვირფასო ხობელებო, გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს!

გისურვებთ სიხარულით, სიყვარულით, უსაზღვრო შესაძლებლობებითა და ახალი გამარჯვებებით სავსე წელიწადს!

ახლა, როცა შეგვიძლია შევაჯამოთ განვლილი წელი, მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო თქვენს წინაშე, ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. სწორედ თქვენი–ადგილობრივი მოსახლეობის წინადადებების გათვალისწინებით, თქვენი უშუალო ჩართულობითა და მხარდაჭერით, წარმატებით განვახორციელეთ არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი, რეაბილიტირდა გზები და სანიაღვრე არხები, მოეწყო სკვერები, საბავშვო ატრაქციონები, გარე განათებები, ხიდები და ხიდბოგირები.

მჯერა, რომ საერთო იდეის–ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების ირგვლივ ერთ მუშტად შეკრულები, კიდევ უფრო აქტიურად ვითანამშრომლებთ და მეტ წარმატებას მივაღწევთ მომავალ, 2024 წელს.

ეჭვგარეშეა, რომ 2023 წელი გამორჩეულად ჩაიწერება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში–კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველა ქართველს და ჩვენი ქვეყნის ქომაგს, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. საერთო ძალებითა და ჩვენი ღირსებით გავაგრძელებთ დამაჯერებელ სვლას ევროპისაკენ და აუცილებლად დავუბრუნდებით ჩვენს ისტორიულ ოჯახს.

სამწუხაროდ, ამ წელს არც ტრაგედიების გარეშე ჩაუვლია, არაერთი ღირსეული პიროვნება დააკლდა ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ქვეყანას, მინდა კიდევ ერთხელ მივაგო პატივი შოვში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად დაღუპულ ადამიანებს, ღმერთმა ინებოს, რომ ყოველი ცუდი წავიდეს ძველ წელთან ერთად.

ახალი წელი იმედის დღესასწაულიაო ამბობენ და როგორც ყოველ წელს, დღესაც ამ იმედით და რწმენით, მინდა მივულოცო ახალი წელი ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ ერთმანეთს და ვიცხოვრებთ ერთიან, კიდევ უფრო განვითარებულ და ძლიერ საქართველოში!

ჩემო ხობელებო, მეგობრებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

2024 წელი ყოფილიყოს მშვიდობის, ბედნიერების და წარმატების მომტანი თითოეული თქვენგანისთვის, ჩვენი მუნიციპალიტეტისა და სრულიად საქართველოსთვის!

დავით ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

საკრებულოს თავმჯდომარის საახალწლო მილოცვა

ძვირფასო ხობელებო! დიდი სიყვარულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! დაე, სიკეთით, ბედნიერებით, ბარაქით, კეთილდღეობით, ქვეყნის ერთიანობით დაგვბედებოდეს ახალი–2024 წლის შემობრძანება.

ტრადიციულად, ყოველი ადამიანი, უკეთესობის მოლოდინით და სურვილების ასრულების იმედებით ხვდება ამ დღესასწაულს. მე მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით, თანადგომით, სიყვარულით, დაუღალავი შრომით აუცილებლად მივაღწევთ დასახულ მიზნებს, აუცილებლად დაგვიდგება უკეთესი ცხოვრების დრო და ვიცხოვრებთ წარმატებულ, ღირსეულ ქვეყანაში, სადაც უფრო და უფრო დაფასებული იქნება თითოეული ადამიანი, გარანტირებული იქნება ჩვენი მომავალი თაობის ბედნიერების და განვითარების ყველა პირობა.

აქვე მინდა მოგილოცოთ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და წარმატებული ნაბიჯები ევროინტეგრაციის საკითხებში, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რომელიც საქართველოს მთავრობის ძალისხმევის, განხორციელებული მდგრადი რეფორმებისა და ევროკავშირთან ინტენსიური, წარმატებული თანამშრომლობის შედეგად იქნა მიღწეული.

ჩვენი საერთო ეროვნული მიზანია, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს ძლიერი, ქართული ეროვნული ღირებულებების გათვალისწინებითა და საერთო ევროპული ფასეულობების, პრინციპების დაცვით, ეტაპობრივად და თანმიმდევრულად გავხდეთ ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი. ასეთი იყო და არის ქართველი ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი ნება: თავისუფალ, დემოკრატიულ, განვითარებულ, ევროპულ სამყაროში ჩვენი კუთვნილი, ღირსეული ადგილის დამკვიდრებისა და თანაცხოვრებისათვის.

განსაკუთრებით მინდა მივულოცო ახალი წელი ემიგრაციაში მყოფ ხობელებს, ვუსურვო მათ კეთილდღეობა, წინსვლა და მშობლიურ კერაში მალე დაბრუნება.

დაე, მოგვეცეს უფლის მადლი და იმედი, რომ კიდევ უფრო სასიკეთო, წარმატებული იქნეს ჩვენი ქვეყნისა და ხობელებისათვის დამდეგი 2024 წელი!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით,

ლევან ქავთარაძე,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

ახალ წელს ჯილოცავთ, ძვირფასებო...

ჩემს უმცროს დაიკოსთან ერთად გადავწყვიტე ამ მისალოცი უსტარის დაწერა, რომ შევეკითხე ნანას, ერთად ხომ არ მიგველოცა ხობელებისთვის ახალი წელი მეთქი, გაიხარა და მთელი არსებით შემომიერთდა. მინდა ისტორიას დარჩეს ეს ფაქტიც, რომ და-ძმამ ერთი გულარსიდან მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, ჩვენო საფიცარო ხობელებო, ძვირფასო ქართველებო, ჩვენო უსაყვარლესო კოლხებო...

მიუხედავად იმისა, რომ დაუნდობელმა წუთისოფელმა არაერთგზის სცადა ჩვენი ჩაყენება არაცნობიერი აქტიორის როლში–სიტუაციისა თუ მდგომარეობის წინაშე, არასდროს შეგვიცვლია ნირი და არ გადაგვიხვევია ზოგადქართული ცნობიერების გზისთვის, რამეთუ სამშობლო იყო და იქნება, ჩვენი საუფლო საწიერი სიცოცხლის დასასრულამდე, ამიტომაც სამშობლოს უანკარესი გრძნობის შეგრძნებით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელიწადს.

უბედნიერესი წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისა და თითოეული ქართველისთვის. მოეტანოს ნანი-ნანატრი ბედნიერება და ჩვენეული ნატვრით, ეს წელი ყოფილიყოს მატერიის ტყვეობისგან განთავისუფლების დაწყების წელიწადი, რათა წინ წამოიწიოს სულიერმა სიმაღლემ და გონითმა ჭეშმარიტებამ ღვთაებრივი იდეალის განხორციელების უდიდესი სურვილით. დანარჩენი სიკეთე და ნიჭი უხვად აქვს მომადლებული ჩვენს ერსა და ქვეყანას.

ყოველ ახალ წელიწადში ძველიც იგულისხმება, თავისი ტკივილიანი თუ გასახარი „ბიოგრაფიით“. ყოველი წელი ტოვებს წარუშლელ კვალს და სახლდება ჩვენი ცნობიერების შრეებში და თანი-თან გვახსენებს თავს. ასე მოვდივართ ამ უსასრულეთში და ვმკვიდრდებით ჩვენეული სურვილებითა და ყოფისმიერი წესებით, ტრადიციისა და უფლისეული ჭეშმარიტების უებრო ერთგულებით.

უკვე იკვეთება ტენდენციები, რომ ყველა ქვეყანა თავად იწყებს ზრუნვას საკუთარ მოსახლეობაზე. ასეთი მიდგომა გლობალიზაციის პროცესს უფრო სხვანაირს გახდის და ეს უპირველეს ყოვლისა პატარა ქვეყნების, მათ შორის ჩვენს ეკონომიკაზე იმოქმედებს, ამიტომაც აუცილებელია მუხლჩაუხრელი შრომა და ხელშესახები პრობლემების საკუთარი ძალებით მოგვარება.

მსოფლიო აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც აქამდე იყო, ის უთუოდ შეიცვლება, როგორც პოლიტიკური წესრიგის თვალსაზრისით, ასევე ახლად განისაზღვრება ეკონომიკური პრიორიტეტები და სხვა მნიშვნელოვანი ფასეულობანი. მათ შორის კულტურათა გადაძახილიც სხვა სახეს მიიღებს!.. ასე, რომ წინ დიდი გამოწვევები გველოდება...

დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად გვექნება, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა თავის სათქმელს უთუოდ იტყვის მსოფლიო ცივილიზაციის უსასრულობაში და ისევე განიმტკიცებს სამყოფლოს, როგორც ოდითგან, ანუ უკუნისიდან დღემდე... ჩვენ ხომ გაუკვდავებული ვეფხისტყაოსნელები ვართ...

უფალმა გვისმინოს და გაგვაძლიეროს!

მრავალ შობა-ახალ წელიწადს ძვირფასებო!..

სიყვარულით

ლაშა და ნანა გვასალიები.

„მომავალი უფრო წარმატებული და სასიკეთო იქნება“

ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს. მოლოდინით იმისა, რომ ახალი წელი კიდევ უფრო მეტად საქმიანი, წარმატებული და სასიკეთო იქნება.

მსურს მოკლედ მიმოვიხილო გავლილი 2023 წელი, რომელიც მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო როგორც მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისთვის, ისე სამსახურს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ახალმა პროგრამებმა, რომლებიც ეხება განათლებისა და სპორტის ხელშეწყობას და განვითარებას, ახალგაზრდული საქმიანობის პოლიტიკას, საშუალება მოგვცა წარმატებით განგვეხორციელებინა არაერთი შემეცნებითი, კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები.

„ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, წარმატებული მოსწავლეების წახალისების მიზნით, დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი (69) მოსწავლე;

წარმატებული სტუდენტების წახალისების მიზნით, ფულადი ჯილდოთი ასევე დაჯილდოვდნენ ის სტუდენტები, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე მოიპოვეს 100 % სახელმწიფო გრანტი; წარმატებული, ღვაწლმოსილი განათლების სფეროს მუშაკების წახალისების მიზნით, დაჯილდოვდნენ საჯარო სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენლები.

ხობელმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს. წარმატებული სპორტსმენებისა და მათი პირადი მწვრთნელების დაჯილდოება „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად მართვისა და კოორდინაციის მიზნით დამტკიცებული „2023-2025წწ. ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში შეიქმნა მერის სათათბირო ორგანო–ახალგაზრდული საბჭო, რომლის 11 წევრი შეირჩა კონკურსის წესით. ახალგაზრდული საბჭოს მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა სახის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები: ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, ჩატარდა ახალგაზრდული საბჭოს შეხვედრები ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2023 წელს სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესი ეფექტურად მიმდინარეობდა, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება არაერთი საინტერესო შემოქმედებითი და შემეცნებითი პროექტი, რომლის მეშვეობით ბავშვებს უნვითარდებათ სტანდარტით გათვალისწინებული უნარ-ჩვევები. თითოეულმა აღმზრდელ-მასწავლებელმა გაიარა ,,აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის“ სასერტიფიკაციო სრული კურსი და სერტიფიცირებულია.

კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში“ შემოქმედებით ჯგუფებს დაემატა გიტარის, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, ხალხური მუსიკისა და საესტრადო მუსიკის შემსწავლელი უფასო წრეები...

1 ივნისს კულტურის სახლის დიდ დარბაზში შედგა პრემიერა სპექტაკლისა „აქ ჩემი სახლია“. ამ სპექტაკლით კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრთან არსებული ბავშვთა თეატრი (რეჟისორი მარინე ჯღარკავა) ქალაქ ბათუმში ხელოვნების საერთაშორისო სატელევიზიო კონკურს-ფესტივალზე გრან პრის მფლობელი გახდა.

ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფებისა და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით ჩატარდა კულტურული ღონისძიებები, რომელთა შორის აღსანიშნავია პროექტი „მემიყვარსხობი“. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა „მუსიკალური საღამო“.

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში „მაჩხომერის“ არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე, გაგრძელდა არქეოლოგიური გათხრები, მკვლევართა ჯგუფის მიერ (ხელმძღვანელი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რევაზ პაპუაშვილი).

2023 წელს კლუბ „კოლხეთის“ საფეხბურთო გუნდი ასპარეზობდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-2 ლიგაში, ხოლო ქალთა საფეხბურთო გუნდი–საქართველოს ეროვნულ ლიგაში.

ექსპლუატაციაში შევიდა მრავალფუნქციური კომპლექსი, რომლის რეაბილიტაცია-მშენებლობა განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. კომპლექსის ბაზაზე დაფუძნდა ახალი ა(ა)იპ, „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი“, რითაც ხელი შეეწყო სპორტულ სექციებს შესაბამისი პირობების შექმნით და მეტი შესაძლებლობები მიეცა ნიჭიერ ბავშვებსა და ახალგაზრდებს სპორტული წარმატებების მიღწევაში.

მომავალ წელს ახალი წარმატებების მოლოდინით ვეგებებით.

მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ახალი წლის შემობრძანება! 2024 წელი მშვიდობის, სიკეთისა და წარმატებებით სავსე წელი ყოფილიყოს.

ელისო კვიკვინია, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

სეზონის ახლების წელიწადი დგება...

განვლილი 2023 წელი ნაყოფიერი იყო ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრისთვის“. ჩატარდა 40-მდე კულტურული ღონისძიება.

6 იანვარს ხობელი მაყურებლის წინაშე წარსდგა ქართული ესტრადის პოპულარული წარმომადგენელი ანდრია გველესიანი ბენდთან ერთად.

ტრადიციად იქცა ყოველ 21 მარტს კულტურის ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრის სპექტაკლის პრემიერის ჩვენება, უნდა აღინიშნოს, რომ ხობში თოჯინების თეატრის არსებობა დაკავშირებულია ქალბატონ მანანა შამათავასთან, მისი რეჟისურითა და ხელმძღვანელობით უკვე სამი სპექტაკლი ჩატარდა. წელს ყველაზე პატარა მაყურებელმა ნახა სპექტაკლი ,,ბრიყვი მამალი“. ზაფხულის დასაწყისში თოჯინების თეატრი ესტუმრა პატარებს თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულებში (საჯიჯაო, ახალი ხიბულა, ბია, ქვემო ქვალონი, ქარიატა).

31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება აღინიშნა ძველ ხიბულაში, ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლში. გამოიფინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდის ამსახველი ფოტოები, ასევე შეძენილიქნა წიგნები ზვიად გამსახურდიას ავტორობითა და თავად ზვიად გამსახურდიაზე. ნაწილობრივ მოხდა მემორიალური სახლის მოწესრიგება ვიზიტორების მისაღებად.

ტრადიციულად აღინიშნა დედამიწის დღე ვიქტორინით „ეკომეგობარი–2023“, ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი გახლავთ თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა საბიბლიოთეკო ქსელის თანამშრომლებთან ერთად (მენეჯერი ლუიზა ცანავა). მასში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა თემის წარმომადგენელმა. მონაწილე 10 გუნდიდან პირველი ადგილი მოიპოვა მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებით დაკომპლექტებულმა გუნდმა „ლაბარუმი“, საპრიზო ადგილებზე გასულებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები, მხატვრული ლიტერატურა, ხოლო მონაწილეებს სიგელები.

ევროპის დღეების ფარგლებში შედგა შეხვედრა სამეგრელო-ზემო სვანეთის ეკოკავშირის ოფისის წარმომადგენელ ანა ცანავასთან. საინტერესოდ წარიმართა დისკუსია ახალგაზრდებს შორის და ჩატარდა ვიქტორინა. ახალგაზრდებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

უნდა აღინიშნოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. (მენეჯერი აზა თათარიშვილი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებული წრეები სამუშაო გეგმის მიხედვით ატარებენ ღონისძიებებს. ცალკე ყურადღების ღირსია ხატვის წრის მასწავლებლის, ირა სიხარულიას მუშაობა და აქტიური მონაწილეობა ხობის კულტურულ ცხოვრებაში. ასევე სასიხარულოა ამ სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაზიკას“ წარმატებული მონაწილეობა ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე (ქორეოგრაფები პაატა ჭითაშვილი, მამუკა გვასალია).

18 მაისს, კულტურის ცენტრში შემავალ ყველა მუზეუმში პროექტის „ღამე მუზეუმში“ ფარგლებში მოეწყო ვიზიტორებისთვის საინტერესო შეხვედრები. მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მოსწავლეები ეწვივნენ ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლს, მათ გიდობა გაუწია მუზეუმების გაერთიანების მენეჯერმა ბატონმა ლევან ხოფერიამ.

ეროვნული სამოსის დღეს ცენტრალურ პარკში მოეწყო ეროვნული სამოსის გამოფენა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა კონცერტი. წამყვანებმა ისაუბრეს ეროვნული სამოსის განვითარებასა და მნიშვნელობაზე.

კულტურის სახლის დიდ სცენაზე მაყურებელთა წინაშე წარსდგა ფოლკლორული ჯგუფი „შარა“.

ყურადღების ღირსია, კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლების „კოლხეთი“ (ქორეოგრაფი გოდერძი გახარია) და „ცოტნეიდელის“ (ქორეოგრაფი კობა გერგაია) დადგმული ქართული ხალხური ცეკვები, ეს ანსამბლები იღებენ მოწვევებს და აქტიურად მონაწილეობენ, როგორც ადგილობრივ ღონისძიებებში, ასევე საერთაშორისო ფესტივალებში.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს კულტურის სახლის დიდ დარბაზში ჩატარდა კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით.

საღამოს ცენტრალურ პარკში გაიმართა მოწვეული შემსრულებლების კონცერტი, მაყურებლების წინაშე წარსდგნენ: ქეთი ორჯონიკიძე, ანი სირაძე, ჯგუფი „იბერია“. მაყურებლების განწყობაზე ზრუნავდნენ ანიმაციური პერსონაჟები, ოჩოფეხები, ცეცხლოვანი შოუ, დარიგდა ბრენდირებული ალმები და ჰელიუმის ბუშტები. მოწყობილი იყო საბავშვო, საგამოფენო, ხელნაკეთი ნივთების სივრცეები.

კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო ხობელი მოქანდაკისა და მხატვრის მურთაზ ტურავას ნამუშევრების გამოფენა, საგამოფენო სივრცე დაეთმო ასევე მოწვეულ მხატვარს ანზორ თოდრიას, რომელმაც თავისი ნამუშევრების გამოფენას ,,ეს მე ვარ!“ უწოდა. მნახველებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მისი შემოქმედების ხილვამ.

საინტერესო იყო ჩვენი თანაქალაქელის, ახალგაზრდა მხატვრის ლალი გადელიას ნამუშევრების და მხატვარ-დიზაინერის თამარ ნადირაძის ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

ხობში განსაკუთრებულად აღვნიშნავთ ახალგაზრდობის დღეს, რომელიც სახალხო ზეიმ „ცოტნეობას“ ემთხვევა, კვირეულის ფარგლებში ჩატარდა საინტერესო შეხვედრები, ინტელექტუალური თამაში „ზაფხული 2023“, მონაწილეობა მიიღო ექვსმა გუნდმა, საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ხოლო მონაწილეებს სერტიფიკატები.

მოყვარულთა თეატრის მიერ დადგმულ იქნა სპექტაკლი „ცოტნე დადიანი“ (რეჟისორი რამაზ ღოლუა).

კურსდამთავრებულთა და ახალგაზრდების მოთხოვნით მოწვეულიქნა ჯგუფი „წერილი“ და კონცერტი განაგრძო დიჯეიმ „Zukay“.

ბავშვთა საერთაშორისო დღეს ცენტრთან არსებულმა ბავშვთა თეატრმა წარმოადგინა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლის „ეს ჩვენი სახლია“ პრემიერა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალბატონ მარინა ჯღარკავას უშუალო ხელმძღვანელობით, მისი რეჟისურითა და ძალისხმევით შექმნილი ათამდე სპექტაკლი აქვს უკვე ხობელ მაყურებელს ნანახი. სპექტაკლი ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელშეწყობით გავიდა მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ, მონაწილეობა მიიღო ბათუმში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალზე. მათ ფესტივალის გრანპრი მოიპოვეს და მიიღეს 50 %იანი დაფინანსება ბულგარეთში ფესტივალზე გასამგზავრებლად.

ხობელმა მაყურებელმა იხილა ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „გრძნობათა ნამსხვრევებზე“, რეჟისორი მანანა შამათავა. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ შორენა ჯაბურიას, რომელიც მოხალისეობრივად თანამშრომლობს ერთი მსახიობის თეატრთან და გვაოცებს მისი არტისტულობითა და ნიჭიერებით, ასევე მინდა მოვეფერო თუთანას როლის შემსრულებელს, ჩვენს ტკბილხმიან გოგონას ნინო ქავთარაძეს. ქორეოგრაფიული ანსამბლ „კოლხეთის“ მოცეკვავეებს.

24 ოქტომბერს ჩატარდა პროექტი „მემიყვარსხობი“. არაჩვეულებრივი გარემო იყო შექმნილი ულამაზეს ცენტრალურ პარკში. ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტის პარალელურად მიმდინარეობდა მეგრული კერძების მასტერკლასი, კულტურის სახლის ფოიეში წარმოდგენილი იყო მხატვარ ნათია სანიკიძისა და მხატვარ-დიზაინერ თამარ ნადირაძის ნამუშევრები. გამოფენას ამშვენებდა და ალამაზებდა ახალგაზრდა

მევიოლინე ანა ფიფია.

ცენტრალურ პარკში წარმოდგენილი იყო ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელი როგორც საოჯახო, ასევე სხვა დანიშნულების ნივთები, რაზეც მუზეუმების მენეჯერმა ბატონ ლევან ხოფერიამ იზრუნა.

წარმოდგენილი იყო ჩვენი 90 წლიანი ისტორიის მქონე გაზეთის სტენდი. მნახველებს შეეძლოთ ენახათ იმ ადამიანთა ფოტოგალერეა, რომლებმაც ხობს შორს გაუთქვეს სახელი.

დღის კულმინაცია გახლდათ საპატიო ხობელებისა და გამორჩეულად დასაფასებელი ადამიანების დასახელება.

დასასრულს ხობელი მაყურებლისთვის იმღერეს ცნობილმა მომღერლებმა ანრი ჯოხაძემ, ნინი ბადურაშვილმა, რანინელებმა და ჯგუფმა „რეგიონი“.

წინ დიდი გეგმები გვაქვს. ადგილობრივი ხელისუფლების, უშუალოდ ბატონი მერის ინიციატივით შეიქმნა „ხობის კვარტეტი“, დაგვემატა გიტარის, საესტრადო სიმღერების, სამეჯლისო ცეკვების უფასო ჯგუფები, რომლებიც საახალწლო ღონისძიებაზე თავიანთი შემოქმედებით წარსდგებიან მაყურებლის წინაშე.

რესტავრაცია ჩაუტარდა და დაუბრუნდება თავის ადგილს (რესტავრატორი ნათია ქულუაშვილი) კულტურის ცენტრში დაცული ნამუშევრები, გობელენით შესრულებული ეს ნამუშევრები თავისი მასშტაბურობითა და შესრულების ტექნიკით აღაფრთოვანებს როგორც სპეციალისტებს, ასევე დამთვალიერებლებს. აღდგენილი გობელენი, რომელზეც გამოსახულია სცენა არგონავტებიდან სახელად „მედეა“, „სამაია“ და „კოლხური კომპოზიცია“ შეიძლება ითქვას, კულტურის სახლის დაარსების პერიოდიდან მოყვება ჩვენს მეხსიერებას. ის კულტურის დიდი ქომაგის, სულმნათი ნუგზარ ნადარაიას იდეით ამშვენებდა კულტურის სახლის ფოიეს.

2023 წელი განსაკუთრებულია ჩვენი ცენტრისთვის. ფოლკლორული ანსამბლი „კოლხეთი“, რომელსაც სათავეში უდგას მხცოვანი ლოტბარი ბატონი ნუგზარ ზარანდია 40 წლის გახლავთ. სწორედ ბატონი ნუგზარის ხელმძღვანელობით 1983 წელს შვიდკაცას ბაზაზე ჩამოყალიბდა ანსამბლი „კოლხეთი“, მინდა მივულოცო მათ ეს თარიღი, ახალი წელი და ვუსურვო

დიდხანს ისმოდეს მათი ჰანგები ჩვენს კუთხეში.

მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ ანსამბლს თავისი არსებობის მანძილზე რეპერტუარში აქვს 106 სიმღერა, მათგან ბევრი მხოლოდ ხობისთვის დამახასიათებელი, ხოლო მათ მიერ შესრულებული ექვსი სიმღერა საქართველოს ტელევიზიის ოქროს ფონდშია ჩაწერილი.

განსაკუთრებით მინდა მოვეფერო ჩვენი სამუსიკო სკოლის პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს, ქალბატონ ნათელა მარგველაშვილს. ქალბატონი ნათელას სახელთან არის დაკავშირებული ხობში სამუსიკო სკოლის შექმნა. არაერთი ცნობილი მუსიკოსი, კომპოზიტორი აღზარდა ამ სკოლამ. წელს სამუსიკო სკოლას 60 წელი შეუსრულდა.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონეებს გვაქვს სურვილი, ასევე ღირსეულად განვაგრძოთ კულტურული ცხოვრება ხობში. ამისთვის არსებობს კეთილი ნება, და ვფიქრობთ, ეს ჩვენ გამოგვივა.

ანჟელიკა ქანთარია,
ხობის მუნიციპალიტეტის, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის მოადგილე კულტურის და განათლების საკითხებში.

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

ახალი მნვერვალებისკენ, „გოცი“!



სპორტი ის სფეროა, რომელიც თავის გარშემო აერთიანებს მილიონობით ადამიანს და მათთვის ჯანსაღი გარემო მოაქვს. უკეთესობისკენ, გამარჯვებისკენ სწრაფვის იდეა, რომელიც სპორტშია, სამყაროს გაძლიერებისა და განვითარებისკენ მიმართული, არის ის დადებითი და უპირატესი რამ, რაც მას ამოძრავებს და ადამიანების უფრო მეტსა და მეტ რაოდენობას აერთიანებს ერთ დიდ ძალად. სპორტის სხვადასხვა სახეობები, არაოლიმპიური და ოლიმპიური–ეს სპორტსმენთა, მწვრთნელთა და გულშემატკივართა ერთობაა, რომლებიც ერთმანეთს აძლიერებს.

სპორტის სახეობათა შორის კი, უდაოდ, დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფეხბურთს. მას ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმდევარი და გულშემატკივარი ჰყავს არა მარტო მსოფლიოში, არამედ საქართველოში და მათ შორის, რა თქმა უნდა, ხობშიც.

ხობი ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტია საქართველოს მასშტაბით, სადაც შემოიღეს ფეხბურთის თამაში და მას შემდეგ მისადმი ინტერესი არ განელებიათ. აქ ყველა, დიდი თუ პატარა, სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, ყველას, ვინც სპორტის ამ სახეობაშია ჩართული.

ადამიანი, ვისზეც დღეს მოგითხრობთ, არა მარტო ფეხბურთში ჩართულად, არამედ ფეხბურთის სინდის–ნამუსად იწოდება და ამიტომაც მის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული გააჩნიათ ხობელ გულშემატკივრებსა და სპორტსმენებს.

ეს ადამიანი გახლავთ ვეტერანი ფეხბურთელი, ხობის „კოლხეთის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი, დღეისთვის ფეხბურთის ასაკობრივი ჯგუფის მწვრთნელი–ბატონი ფრიდონ გოცირიძე. მას ყველა, მოფერებით „გოცის“ ეძახის. ის წარმოშობით სენაკიდანაა, იქ დაბადებული, მაგრამ ხობელებმა ისე მიიღეს, როგორც ღვიძლი შვილი.

ბავშვობიდან ჰყვარებია ფეხბურთის თამაში და ამიტომაც იგი მის მშობლებს სენაკის სკოლა ინტერნატში შეუყვანიათ. მისი დამთავრების შემდეგ ფრიდონმა სწავლის გაგრძელების მიზნით, ჩაბარა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში. სტუდენტობის წლებში 3 წლის მანძილზე უთამაშია ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდში, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის 1 ლიგაში გამოდიოდა.

1968 წელს თამაშობდა საქართველოს ნაკრებში ახალგაზრდებს შორის.

პირველად ხობს 1968 წელს სწვევია, მაგრამ დიდხანს არ გაჩერებულა, 6 თვის შემდეგ გადასულა ჩხოროწყუს „სამეგრელოში“, საიდანაც გაუწვევიათ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, კი პირდაპირ ხობის „კოლხეთს“ წვევია და მას შემდეგ, არ მოსცილებია აქაურობას.

1979 წლამდე გუნდში თამაშობდა, 1979 წლიდან კი, ხობის „კოლხეთის“ მწვრთნელად დაინიშნა და მთელი მონდომებით შეუდგა მუშაობას. მან დიდი მიზნები დაისახა შესასრულებლად და დიდი შრომის ფასად მიაღწია კიდეც წარმატებებს.

დიდი ფეხბურთელი პელე ამბობდა: „წარმატება შემთხვევითი არ არის, ეს არის შრომა, შეუპოვრობა, სწავლა, თავდადება და, რაც მთავარია, სიყვარული იმისა, რასაც აკეთებო“.

ფრიდონ გოცირიძეს ჰქონდა შრომისმოყვარეობაც, თავდადებაც და დიდი სიყვარული ფეხბურთისადმი, რამაც თითქმის შეუძლებელი შეაძლებინა ისეთ დროს, როცა ირგვლივ ნგრევისა და იარაღის ჟღარუნის ხმა ისმოდა.

1987 წლიდან დაიწყო წარმატებული ნაბიჯები... საქართველოს ჩემპიონატში, ჯერ ვერცხლის მედალი მიიღო ხობის „კოლხეთმა“ მისი მწვრთნელობისას, 1988 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი და პირველად მიიღო მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატში მეორე ლიგის თამაშებში.

ეროვნული მოძრაობის მიერ მოტანილმა ცვლილებებმა ფეხბურთზეც იქონია გავლენა. გუნდები ჩამოშორდნენ საკავშირო ჩემპიონატებს და დაიწყო ეროვნული ჩემპიონატები.

1989 წელს ხობის „კოლხეთი“ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. მაგრამ შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ომის გამო, ხობში შეწყდა (დროებით) საფეხბურთო ცხოვრება. გუნდს არ მიეცა საშუალება თამაშების ჩატარებისა და თანდათან დაიშალა. სამწუხაროდ, 1993 წლისთვის ხობის „კოლხეთი“ არ არსებობდა.

ეს იყო ეპოქა, როცა ბანაკებად დაშლილი ქართველები ერთმანეთს ებრძოდნენ და ამ ბრძოლით ანგრევდნენ ირგვლივ მატერიალურსა და არამატერიალურს... იდგა ქვეყნის–სახელმწიფოს გადარჩენის დრო და ეს, რა თქმა უნდა, აისახებოდა თითოეული ჩვენი მოქალაქის ცხოვრების ხარისხზე, დონეზე.

სწორედ ასეთ დროს, ლევან ლემონჯავა და ფრიდონ გოცირიძე, ლევან ნოდიასთან და მამუკა გაბრავასთან ერთად, იწყებენ ფიქრს, როგორ გადაარჩინონ ხობში საფეხბურთო ცხოვრება, როგორ შეინარჩუნონ ფეხბურთი... და ერთად მიმართავენ ნოდარ ახალკაცს. მისი კონსულტაციითა და თანაგრძნობით, ფრიდონმა და მისმა მეგობრებმა, სკოლის ასაკიდან დაიწყეს ბავშვების წვრთნა. ამ საქმეში ერთმანეთს გვერდით ამოუდგნენ ადამიანები, რომლებსაც ერთნაირად უყვარდათ ფეხბურთი, მათ შორის გამორჩეულად წესიერი და გულმოდგინე პიროვნება, როგორიც იყო ბატონი ანზორ სანიკიძე.

იმ ძნელბედობის ჟამს, როცა დაშვებული ბურთის მეტი არა გააჩნდათ რა, მათ ერთად შეძლეს ბავშვების მოძიება, წვრთნები და ჩამოაყალიბეს საფეხბურთო გუნდი „ოლიმპია“. ეს დიდი ძალისხმევისა და მონდომების, თავდადებისა და ფეხბურთისადმი დიდი სიყვარულის შედეგად მოხდა. ფრიდონ გოცირიძის სურვილიც–არ დაკარგულიყო ხობში ფეხბურთი, ასრულდა! ერთიანი ძალისხმევით მომზადდა ცვლა დიდი ფეხბურთის სათამაშოდ, რომ ხობელებს კვლავ ეთამაშათ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში! ამ დროს გამოჩნდნენ ახალი სახეები ფეხბურთში: რ. ქაშიბაძე, გ. ხურცილავა, თ. ჭიჭინაძე, ე. საჯაია, ვ. ჯამბურია, ლ. ახალაია, რ. ონიანი, ლ. გვაზავა, ლ. გვასალია...

2000 წლისთვის ხობის საფეხბურთო გუნდი „კოლხეთი“ გადავიდა უმაღლეს ლიგაში და შეუერთდა უმაღლესი ფეხბურთის მოთამაშეთა რიცხვს.

2001 წლიდან ფრიდონი გადავიდა ფეხბურთის ასაკობრივი ჯგუფის მწვრთნელად და დღემდე იქ ეწევა ახალგაზრდა თაობის ქართული ფეხბურთისთვის მომზადების საქმეს.

2012 წელს ფრიდონ გოცირიძე დააჯილდოვეს „ღირსების ორდენით“. ამაგი დაუფასეს, მაგრამ მას, თავმდაბლობით გამორჩეულ პიროვნებას, დღესაც ეუხერხულება ამ ჯილდოზე საუბარი.

ფრიდონ გოცირიძე გამორჩეული სპორტსმენია, სამართლიანობით გამორჩეული ადამიანი, რომელიც ხობელებმა, მისი განსაკუთრებული ღვაწლისთვის, წელს, ხობის „საპატიო მოქალაქედ“ დაასახელეს.

დიდი სიხარული მოუტანა ამ დაფასებამ. ისე, კვიცი გვარზე ხტისო ნათქვამია და მან ეს გამოთქმაც გაამართლა, მრავალშვილიანი, „გმირი დედის“ შვილს სხვანაირად ცხოვრება არც ეკადრებოდა.

წარმატებები ვუსურვოთ ამ ამაგდარ ადამიანს, მისი ოჯახისა და ქვეყნის სადიდებლად!

ნინა (ნანა) ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი.

ღირსეული ქალბატონი

კიდევ ერთი წელი გაილია და ისტორიის საკუთრება გახდა. მოდის ახალი, 2024 წელი. დაე, ყველასთვის ფეხბედნიერი და საუკეთესო ყოფილიყოს.

ქალბატონო ნათელა, მინდა მოგილოცოთ ახალი წლის შემობრძანება და საუკეთესო სურვილები გისურვოთ.

გარდა შობა-ახალი წლის შემობრძანებისა, თქვენ, როგორც მედიკოსი, გასული წლის მიწურულს, რამდენიმე ხობელთან ერთად ღირსეული მუშაობის, ხობელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში თავდაუზოგავი შრომისთვის ხობის „საპატიო მოქალაქის“ წოდება მოგენიჭათ. ჩვენ, რედაქციელები გილოცავთ ამ სასურველ, საპატიო წოდებას.

იყო ექიმი, ადვილი როდია, ზრუნავდე პაციენტების ჯანმრთელობაზე, მათ გადარჩენაზე ძალზე საპასუხისმგებლო საქმე გახლავთ. დამსახურებულ და პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ ნათელა ჯიჯელავას სჩვევია თქმა პროფესიონალიზმზე, „თუ შენი საქმე არ გიყვარს და არ სწავლობ, არ კითხულობ სიახლეებს მედიცინაზე, ძნელია იზრუნო და გიყვარდეს პაციენტი. წარმატება საკუთარი თავის პოვნა და მიღებული ცოდნის რეალიზაციაა.“ სწორედ ამიტომაც უყვართ ხობელებს ქალბატონი ნათელა. ვისაც მისი დახმარება სჭირდება, ის არასოდეს არ ტოვებს ავადმყოფს და ყველაფერს აკეთებს მათთვის. ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია და ამიტომაც მედიკოსი ყოველთვის უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე, ეუფლებოდეს სიახლეებს. ეს ხომ ყველა ექიმის საზრუნავია, მათ ხომ დადეს ჰიპოკრატეს ფიცი და მისადმი ერთგულებაც მოითხოვს მაქსიმუმს.

მინდა გიამბოთ თუ ვინ არის ნათელა ჯიჯელავა.

შტრიხები მისი ბიოგრაფიიდან:

დაიბადა და გაიზარდა აფხაზეთში–გულრიფშში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანჰიგიენის ფაკულტეტი, შემდეგ გაიარა კვალიფიკაციები და წლებია გახლავთ ექიმი თერაპევტი. ამჟამად მუშაობს ევექსის კლინიკაში ექიმად და ასევე გახლავთ ოჯახის ექიმი.

ათეული წლების წინათ თავისი ბედი ხამისკურელ გრიშა კუკავას დაუკავშირა. ყავს სამი ღირსეული შვილი–დათო, ედიშერი და ლელა, რომელიც დედის კვალს გაჰყვა, ექიმია.

ქალბატონ ნათელას მინიჭებული აქვს სამკერდე ნიშანი „საუკეთესო ექიმი“ წოდება, ასევე გახლავთ „ღირსების ორდენის“ კავალერი. თავად რომ კითხოთ, მისთვის ყველაზე მთავარი და უძვირფასესი ხალხის, პაციენტების სიყვარულია. ამიტომაც უყვარს თავისი პროფესია და იტყვის ხოლმე, მინდა ყველა პაციენტი კარგად მყავდეს. ჩემთვის მთავარი მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

ასე, შრომაში, ჯაფაში, პაციენტთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვაში გაილია 58 წელი. ბევრი თბილი სიტყვის და სიყვარულით სავსე თვალების მნახველი გამხდარა იგი თავისი პაციენტებისგან, მათი ოჯახის წევრებისგან.

ცხოვრება ყველასთვის როდია ია-ვარდებით მოფენილი, მაგრამ არასოდეს არ ჩაუმუხლავს, ყოველთვის მიუღწევია საწადელისთვის. იცის რა არის მისთვის ღირსების საქმე, ერთგულება, პროფესიის სიყვარული და ადამიანებზე ზრუნვა.

ქალბატონი ნათელა, მიუხედავად ასაკისა, დღესაც მხნედ, სიყვარულით იღწვის და პირნათელი დააბიჯებს ხობელთა და ხამისქურელთა საიმედოდ.

კარგო დედავ, ბებოვ, ერთგულებითა და სიყვარულით გაჯერებულო მეუღლევ (ნათელი დაადგეს ბატონ გრიშას სულს), შესანიშნავო მეგობარო, მეზობელო, კეთილის მსურველო ყველა ადამიანის მიმართ, მინდა დიდხანს იყოთ თქვენი არჩეული პროფესიის ქომაგი. ასევე მოგეფეროთ და გითხრათ: ძალიან სიმპათიური და ახალგაზრდული ენერგიით სავსე ბრძანდებით. ჯანმრთელობა და ბედნიერი დღეები გაგიმრავლდეთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ 2024 წლის დადგომას.

პატივისცემით
ნანი კილასონია.

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

წინათქმის მაგიერ:

უფლის მადლობელი ვარ ჩემი პროფესიის გამო, რადგან საშუალება მეძლევა შევხვდე და ვესაუბრო ისეთ ადამიანებს, როგორიცაა ბატონი ნუგზარ ებანოიძე, აკადემიკოსი, პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი.

სასიამოვნოდ მოსაუბრე, დიდი, ფუძემაგარი ოჯახის წინამძღოლი. მასთან საუბარი საინტერესო და ყურადსაღებია. ჩვენ იშვიათად გვაქვს ეს ფუფუნება...

საუბარი „პოლიტიკის გარეშე“–შედგა. ჩვენი გაზეთის ფორმატის გამო მისი სრულად ქაღალდზე გადმოტანა ვერ მოვახერხე, მენანება, ასე მგონია მკითხველს ბევრი რამ დავაკელი. ალბათ, მომიწევს ბატონ ნუგზარს სხვა დროსაც შევეხმიანო...

ბევრს ვერაფერს ვიტყვი, ეს ორი ფრაზა ამეკვიატა საუბრის შემდეგ,–კაცი დარბაისელი, უბრალოების და თავმდაბლობის მაგალითი.

დიდხანს იყავით ბატონო ნუგზარ ჩვენი ქვეყნის და ხობელების სასახელოდ.

ბედნიერი ახალი წელი დამდგარიყოს თქვენი ოჯახისა და მონაგარისთვის, მათ სიყვარულს ამოევსოს და სიხარულად შეეცვალოს თქვენი გულისტკივილი. დიდი მადლობა თქვენ, გულწრფელი საუბრისთვის.

მერი ლაგვილავა

„ხობი ჩემი მყუდრო სავანეა“

ტრადიციისამებრ, ვინ არის ნუგზარ ებანოიძე?

–დავიბადე სამეგრელოს ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში, იმჟამინდელ სოფელ ჭიხუში (ამჟამად ქ. ხობი), მოსამსახურის ოჯახში.

დედა-ვერა შუშანია–ებანოიძე ღვაწლმოსილი პედაგოგი გახლდათ, მთელი ცხოვრება ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდას, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. მეამაყება, რომ დღემდე ახსოვთ ხობელებს, როგორც კეთილშობილი და მომთხოვნი მასწავლებელი.

მამა-ერმალოზ ებანოიძე იმერელი იყო, სპეციალობით ინჟინერი, 1937 წლიდან მუშაობდა ხობის რაიონში გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, სხვადასხვა დროს იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე (საჯიჯაოსა და პირველ მაისში), რაიკავშირის თავმჯდომარე, ადგილობრივი მრეწველობის დირექტორი. სამამულო ომის პერიოდში კომისარიატში მუშაობდა, ხანდაზმული ხობელები დღემდე პატივისცემით იხსენებენ მის უანგარო სამსახურს და ხობელების მიმართ დიდ სიყვარულს.

ოჯახში ერთი და და სამი ვაჟი ვიზრდებოდით. რაკი მშობლები მსახურობდნენ, ჩვენ გვზრდიდნენ დედაჩემის მშობლები კალისა ყურუა და არტემ შუშანია. მათ ბავშვობიდან შეგვაჩვიეს სოფლის გარემოს და შრომას. დედა გვიანობამდე გვამეცადინებდა, მამა გვიან მოდიოდა სამსახურიდან, ხშირად ცხენით და ეს იყო ჩვენი ზეიმი, რადგან ხშირად ცხენით გვასეირნებდა.

1950 წელს სწავლა დავიწყე ხობის საშუალო სკოლაში. მახსოვს ჩემი კეთილი და დარბაისელი მასწავლებლები, 1958 წლიდან სწავლა გავაგრძელე ქ. ფოთის საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დავამთავრე და სწავლა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე გავაგრძელე, მოვიხადე სამხედრო სავალდებულო სამსახური უფროსი ლეიტენანტის წოდებით დავბრუნდი და მუშაობა დავიწყე ხობის „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებაში ინჟინრად, ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში. შემდეგ ვიყავი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ასპირანტი.

1967 წელს, საქვეყნოდ ცნობილი ადამიანის, ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორის, ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ ავტორის, პროფესორ შალვა კერესელიძის თაოსნობით, სამუშაოდ გადამიყვანეს ქ. თბილისში უფროსი მეცნიერ მუშაკის და პროგნოზირების სექტორის უფროსად. შემდეგ იყო სამეცნიერო მუშაობა, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, ვმუშაობდი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. აფხაზეთში განვითარებული მოვლენების (რაც დღემდე მოუშუშებელ ტკივილად მომყვება), შემდეგ ინსტიტუტი ფუნქციონირებდა ქუთაისში და სხვადასხვა წლებში ვიყავი მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დეკანი.

2004 წელს მომენიჭა პროფესორის წოდება.

2005-2010 წლებში ვიყავი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, შემდეგ ასაკის გამო (განათლების კანონის მიხედვით) იმავე უნივერსიტეტში ვმუშაობდი სრული პროფესორის და ემერიტუსის წოდებით.

2014 წლიდან დღემდე ვმუშობ ქ. თბილისში. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში აგროსაიჟინრო კვლევის სამსახურის უფროსად.

არჩეული ვარ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

გამოქვეყნებული მაქვს 210 სამეცნიერო შრომა, მათ შორის: 5 მონოგრაფია, 2 სახელმძღვანელო, 27 გამოგონება და პატენტი. მთავრობის მიერ დაჯილდოებული ვარ, „ღირსების ორდენით“.

მყავს მეუღლე ნანა ანთაძე, განათლებით მუსიკოსი, შვილები ერმალოზი–ეკონომისტი, დავითი ინჟინერ ტექნოლოგი.

უმცროსმა ვაჟმა ზურაბმა დაამთავრა ორი უმაღლესი სასწავლებელი, იყო ასპირანტი, გამოქვეყნებული ჰქონდა სტატიები და გამოგონება პატენტი. იყო შეუპოვარი ალპინისტი, რასაც შეეწირა მისი სიცოცხლე, 2010 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ჭიუხის მთაში ქვათაცვენის დროს.

თურმე მწუხარებასაც გაძლება უნდა. ცხოვრებას ვაგრძელებ, მყავს შვილიშვილები, რომლებიც სტიმულს მაძლევენ. შეძლებისდაგვარად სოფელს ვუვლი, ვაშენებ, ვალამაზებ იმ იმედით, რომ მას გამოიყენებენ და დააფასებენ შვილები და შვილიშვილები.

ჩვენი ოჯახი შეიძლება ითქვას, მასწავლებლების ოჯახია. უკვე ვთქვი დედა დამსახურებული მასწავლებელი იყო. უფროსი და ლუნა და მისი მეუღლე პროფესორი კარლო ფაცაცია საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ქიმიის კათედრაზე მუშაობდნენ მასწავლებლის და კათედრის გამგის თანამდებობაზე.

უმცროსმა ძმა მერაბიმ რუსეთში დაამთავრა ინსტიტუტი, იქ დაიცვა დისერტაცია. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მუშაობდა ქალაქ სოხუმში, შემდეგ ქუთაისში პროფესორის თანამდებობაზე, უფროსი ძმა ერგული ხობში სოფლის მეურნეობის დარგში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. მისი მეუღლე მერი თაკვარელია პედაგოგი იყო. მათი ქალიშვილი ნათია ებანოიძე პროფესიით ენერგეტიკოსია.

დღეისთვის ჩვენს ძირძველ ოჯახში ცხოვრობს მათი ვაჟი ირაკლი ებანოიძე და მისი მეუღლე ლელა უბილავა, ხობის №1 საჯარო სკოლის მასწავლებელი.

დისშვილები ეკა ფაცაცია–მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ხოლო ბესიკ ფაცაცია ქიმიის მეცნიერებათა დოქტორია. ასე რომ ჩვენი ოჯახის წევრები ძირითადად მასწავლებლები იყვნენ და დღესაც ვაგრძელებთ ოჯახის ტრადიციებს.

რას ნიშნავს თქვენთვის ხობი და ხობელობა?

–ხობი ჩემი ოდაბადეა. აქ დავიბადე, პირველად ხობისწყლით განვიბანე და ჩავისუნთქე კოლხეთის ჰაერი, ალბათ, ეს მომენტი ყველაზე მთავარია ადამიანის ცხოვრებაში.

ხობის მონასტერში მოვინათლე, მართალია საიდუმლოდ, ფარულად, მაგრამ იქ ვეზიარე ქრისტიანულ სარწმუნოებას.

ხობი საქართველოში ერთ-ერთი ისტორიული ქალაქია. ტერიტორიულად ის კოლხეთის ცენტრია, მდიდარია მისი ისტორია. ამას ადასტურებს ის, რომ ხობის მონასტერში დავანებული იყო მარიამ ღვთისმშობლის კვართი და სხვა სიწმინდეები.

მე ვამაყობ იმით, რომ დავიბადე, ვსწავლობდი და ამჟამად ცხოვრებას ვაგრძელებ ხობში, ჩემი წინაპრების და მშობლების ეზო-კარზე.

ჩვენი ქუჩის სახელიც საამაყოა „ცოტნე დადიანის ქუჩა №36“.

ომის პერიოდში დაბადებულ ბავშვებს ცხოვრების პირობებიც რთული გვქონდა, თუმცა ბავშვობა მაინც ხალისიანი იყო.

სკოლაში სწავლის დროს, სოფლიდან სკოლისკენ ფეხით დავდიოდით 2-3 კილომეტრს. ზამთარში ფეხზე გვეცვა რეზინის კალოშებში ჩასმული ზაფხულის ტუფლები, სკოლაში მისვლის შემდეგ კალოშებს ვიხდიდით და ოთახის კუთხეში ვალაგებდით. მაშინ ხობის მთავარ გზაზე ასფალტი არ იყო. მხოლოდ ფაიტონები მოძრაობდა. სკოლაში მიმავალი ბავშვები შემოვახტებოდით ფაიტონის უკანა მხარეს, ხშირად მოგვხვედრია მეეტლის მათრახიც, მაგრამ ეს მომენტები სასიამოვნოდ მაგონდება და დაუვიწყარია.

მაშინდელ ხობის ცენტრში მხოლოდ ერთი სკოლა, აფთიაქი, ლიმონათის საამქრო. პურსაცხობი, წიგნების მაღაზია და რამდენიმე შენობა იყო, ამჟამად ხობის ცენტრი გალამაზებულია, არის სამი სკოლა, კოლეჯი, კულტურის სახლი, უამრავი მაღაზია, აფთიაქები და სხვა. ხობის ცენტრი დღითიდღე ლამაზდება. რასაც ვულოცავ ხობელებს. როდესაც ხობზე ვფიქრობ, მაგონდება რაფიელ ერისთავის ლექსის სტრიქონები:

„სადაც ვშობილვარ,
გავზრდილვარ
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი.
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ
ჩემი სამშობლო ის არის“

ასე რომ, ხობი ჩემი მყუდრო სავანეა. გმადლობთ ხობელებო!

ყველაზე ბედნიერი დღე თქვენს ცხოვრებაში?

–ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, ყველაზე ბედნიერი დღე შვილების დაბადებაა, მაგრამ როდესაც ასაკში შედიხარ და ხდები ბაბუა, ჩემი აზრით, ამ დღეს ვერცერთი დღე ვერ შეედრება. ჩემთვის ასეთი დღე იყო, როდესაც პირველი შვილიშვილი შემეძინა, ეს იყო 2005 წლის 19 სექტემბერი.

დაიბადა დათას შვილი ლუკა ებანოიძე, შემდეგ მეორე შვილიშვილი–საბა ებანოიძე და ბოლოს ერმალოზის შვილი ანდრია. ამჟამად გახლავართ სამი ბიჭის ბაბუა, რაც ძალიან მახარებს და იმედს მაძლევს.

ცხოვრება ტკივილის გარეშე არ არსებობს, რა გტკივათ და რას შეუძლია ეს ტკივილი გააქარვოს?

–ადამიანს ცხოვრების გზაზე მრავალი სატკივარი შეხვდება, განსაკუთრებით ძნელია, როდესაც საყვარელ ადამიანებს კარგავ, მაგრამ, როდესაც შვილი გეღუპება, ეს აუტანელია. ამ ტკივილს ვერაფერი ვერ გააქრობს. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ეტყობა ამის მთქმელს შვილი არ დაღუპვია. ჩემი ყოველი დღე დაღუპულ შვილთან მისალმებით იწყება და მთავრდება სანთლის დანთებით, ერთხელ ჩემი შვილის, ზურაბის მოძღვარს ვკითხე–ასე ნაადრევად ზეცაში რატომ წაიყვანა მეთქი ჩემი შვილი ღმერთმა?–ის უფრო დიდი განსაცდელისგან იხსნაო მითხრა.

ზურაბი იმდენად სუფთა, კეთილი და მეგობრული იყო, რომ მისი სული, ალბათ, სამოთხეშია და თავის დროზე ჩვენც შევხვდებით. მინდა კიდევ ერთხელ მივმართო ჩემს შვილს.

–როდესაც შენნაირი ვაჟკაცები ნაადრევად ტოვებენ ამ წუთისოფელს, ჩვენ ამ სოფლად დარჩენილები იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ამ ქვეყნად ყველა მოკვდავია, ეს სოფელი წუთისაა, უკვდავება მხოლოდ იმ სოფელშია, ალბათ, მ. ლებანიძის ეს ლექსიც წაკითხული გექნება:

„...ბოღჩებით და ყავარჯნებით,
გრძელი სოფლის კართან
ვდგევართ,
მოკლე სოფელს არ დავრჩებით
ყველა გრძელ სოფელში წავალთ!“

ზურას მთამსვლელმა ამხანაგებმა მითხრეს, თურმე ზურაბისთვის უცნობებიათ მთაში დაღუპული ბიჭების ამბავი, ზურა ძალიან დაღონებულა, მაგრამ უთქვამს „მთამსვლელებისთვის მთაში სიკვდილი დიდი ბედნიერებაა, ვიდრე სიკვდილი ლოგინში, უძლურებაშიო“. მისი ეს სიტყვები მისი ბედისწერა ყოფილა.

ადამიანის დანიშნულების თქვენეული განმარტება.

–ამ კითხვაზე გამახსენდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები „კაცია ადამიანი!?“

ჩემი აზრით, ადამიანი უნდა იყოს გულწრფელი, შრომისმოყვარე, კეთილი, მიმტევებელი და უღალატო. მაგრამ ყველა ამ თვისების გამოვლენა ხშირად ძალიან ძნელია. ბიოლოგიურად ყველა ადამიანი სუფთა და უმწიკვლო იბადება, მაგრამ შემდეგ მასში იღვიძებს გენეტიკური თვისებები, ყალიბდება ოჯახში,

7

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

ანგულ მიქავას!

ბატონო ანგულ!

90 წლის გაზეთი „ხობის მოამბე“ ჩვენი მუნიციპალიტეტის მემატიანეა და თქვენი მოღვაწეობის გარკვეული წლები, რაიონის ხელმძღვანელობის პერიოდიც მის ფურცლებზეა ასახული, რადგან დაარსების დღიდან გაზეთი მაჯას უსინჯავდა რაიონის სისხლსავსე ცხოვრებას, როგორც ადრე, ახლაც ხელისუფლების მხარდამხარ მიჰყვება დროის მდინარებას...

წლებმა ელვასავით გადაურბინა ტკბილ- მწარე ცხოვრებას და თქვენც მრავალგზის მოგიხდათ „გამოცდის“ ღირსეულად ჩაბარება. თუმც თქვენი ღირსების, ძლიერების, ერუდიციის და გამოცდილების გამო, დღესაც ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებთ თქვენს მოვალეობას.

წლების წინათ სწორედ ასეთი მსახურებისთვის აგირჩიათ საზოგადოებამ „ხობის საპატიო მოქალაქედ“.

80 ლამაზი წელიწადი შემომჯდარა თქვენს მხრებზე, გვიხარია, რომ მისი სიმძიმე არას გაკლებთ, ახალგაზრდული შემართებით აგრძელებთ ცხოვრებას...

გაზეთის გამოცემის პერიოდულობის გამო, დაგვიანებით გილოცავთ დაბადების დღეს და უამრავი სურვილებიდან გამორჩეულად გისურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას თქვენი ოჯახისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

მრავალჟამიერ, თქვენი სიცოცხლე!

მოკრძალებით და პატივისცემით

მერი ლაგვილავა,
ნანი კილასონია.

ქორწილი

მოფერება-სიყვარულის წილ...

წლებია ჩუმი სიყვარული მაკავშირებს სულმნათი მეგობრისა და თანამოკალმის ბატონ ნოდარ შონიას დიდებულ ოჯახთან.

რაც მეტია საყვარელი ოჯახის დიდებულება, სულის ზეობა და ღვაწლი ქვეყნის წინაშე, მით მეტია ფიქრი–შეძლებ თუ არა შესაფერისად ჩაწვდე ამ დიდებულების საიდუმლოს.

ახლა, როცა მეც ასაკში ვარ და ხშირად ფიქრით ახალგაზრდობას ვუბრუნდები, თითქოს გამიქრა შიშნარევი ფიქრი და ვხვდები, რომ ყველა სიკეთე, რაც ამ ოჯახის წარსულსა და დღევანდელობას ეხება, ამ დიდებული (საგანგებოდ ვიმეორებ ამ სიტყვას) ოჯახის დედაბოძს ქალბატონ ლამარას ეკუთვნის.

დეკემბრის 28-ში დაბადებულისთვის წლებს დაუთოვია, 85-ის გამხდარა.

მახსოვს წლების წინათ, ყოველ დილით მხვდებოდა მხრებში გამართული, დატალღული შავი თმებით სამსახურში მიმავალი, მისი ღიმილიანი სალამი სასიამოვნოდ მომაცილებდა.

ხობის №1 საბავშვო ბაღის გამგე გახლდათ. თავის შვილებს ორ გოგონას ნინოს და ნონას, ვაჟ ნუგზარის (ხვიჩა) სკოლისკენ გააცილებდა, თავად „შვილობილებთან“ მიეჩქარებოდა. თამამად შემიძლია ვთქვა, იგი ყველას უყვარდა, რადგან ყველგან სიყვარულს თესდა. აღსაზრდელთა მშობლები კი გულდინჯად იყვნენ, იცოდნენ რომ ქ–ნი ლამარა მათ შვილებს მისხალ-მისხალ ერთნაირად უნაწილებდა დიდ სიყვარულს... არადა სამი შვილის დედას საზრუნავიც ბევრი ჰქონდა. გამორჩეულად ნიჭიერი შვილების საქციელი გულს მალამოდ ედებოდა.

წლებმა თავისი გაიტანა, დამსახურებულ პენსიაზე გასვლის დროც დადგა, არ დაუხანებია, უკვე შვილიშვილების ბებია გულის სითბოს ყველას ერთნაირად უნაწილებდა, მათ წარმატებულ გზას დღესაც კმაყოფილებით გაჰყურებს...

აკი ვთქვი, 28 დეკემბერი ქალბატონ ლამარა ბერიშვილ-შონიას დაბადების დღეა, საახალწლოდ იკრიბება მისი მონაგარი–შვილები და შვილიშვილები, უკრავენ ფორტეპიანოზე (კონკურსებში გამარჯვებული შვილიშვილები), ართობენ და სიყვარულით ეფერებიან თმადათოვლილ ლამაზ ბებოს, ქალიშვილები ულოცავენ ნინო–დედაქალაქიდან, ნონა–იტალიიდან. მათი ოჯახი ხომ „ნიჭიერთა“ საკრებულო გახლავთ, ხვიჩას ოთხი ვაჟიდან სამმა სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და სტუდენტები არიან, „პატარა“ კი მერვე კლასის მოსწავლეა, ალბათ, მკითხველიც დამეთანხმება, ამ სახელდახელო მოლოცვაში ვერც ყველა სურვილს დავატევდი და ვერც იმ დიდ სიყვარულს ჩავდებდი, რომელიც მასთან მაკავშირებს, უბრალოდ მინდოდა იმ სიყვარულის წილ მოვფერებოდი, რაც მისგან მიმიღია და დღემდე მახსოვს..

დიდი სურვილი მაქვს დიდხანს, დიდხანს მეგულებოდეთ ამ დიდი, ლამაზი და ნიჭიერებით სავსე ოჯახის დიასახლისად ქალბატონო ლამარა, გეფერებით, უფალს ვთხოვ მზეგრძელი გამყოფოთ. გთხოვთ, ეს პატარა მოლოცვაც დიდი სიყვარულის გამოხატვად ჩამითვალოთ.

უდიდესი პატივისცემით
მერი ლაგვილავა.

6

სკოლაში, მეგობრების წრეში და ა.შ. ასე, რომ მასზე ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებს. ალბათ, ძალიან ძნელია იდეალური, სრულფასოვანი ადამიანის ჩამოყალიბება, საბოლოოდ, ადამიანი უნდა იყოს „ადამიანი“ და არა ცხოველი.

პირადად მე არ მიყვარს მომხვეჭელი, გაუმაძღარი ადამიანები, რომლებსაც არაფერი არ ყოფნით ამ ქვეყნად. აგროვებენ სიმდიდრეს, აშენებენ ბინებს, რომლებშიც თვითონ ნამყოფიც არ არიან, ადამიანს უნდა გააჩნდეს საკმარისი საცხოვრებელი პირობები და იყოს ჯანმრთელი, მაშინ იქნება ის ბედნიერი, გარდა ამისა, ადამიანი უნდა იყოს შემოქმედი, მაძიებელი, ახლის შემქმენელი, კაცთმოყვარე, ბუნებისმოყვარე და გარემოს დამცველი, ასე, რომ მოვუწოდებ ყველას–ვიცხოვროთ ადამიანურად!

თქვენი საახალწლო სურვილები, ტრადიციულად სად ხვდებით ახალ წელს?

–უპირველესად საქართველოს ვუსურვებ მშვიდობის შენარჩუნებას: ვინაიდან მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სახიფათოა, რომ გადავრჩეთ, ბეწვის ხიდზე უნდა გავიაროთ. ქართველებს გვჭირდება გაერთიანება, საქართველოს გერბზე მიწერილი მოწოდება „ძალა ერთობაშია“ ცხოვრებაში უნდა განვახორციელოთ. გავძლიერდეთ ეკონომიკურად, მოსახლეობას მეტი სიფხიზლე და მონდომება გვჭირდება. საზღვარგარეთ სამუშაოს ძებნაში მიმოფანტულ ქართველებს–ჩვენს დედებს, შვილებს მოვუწოდებ დაბრუნდნენ თავიანთ ოჯახებში. მართალია, ეს საკითხი პრობლემურია, მაგრამ აქ მოძებნონ თავიანთი საქმე.

ახალი წლის დადგომა ჩემი ოჯახისთვის სევდიანი და ტკივილიანია, ვინაიდან ახალი წლის წინა დღეებს ვატარებთ ტრაგიკულად დაღუპული შვილის, ზურაბის მახლობლად. 29 დეკემბერი მისი დაბადების დღეა. ჩვენთან მოდიან მისი მთამსვლელი და სკოლის ამხანაგები. ისინი გვამხნევებენ მშობლებს... როცა ისინი ჩვენთან არიან, ასე მგონია ზურაბი ცოცხალია და მალე შემოგვიერთდება...

ახალ წელს ტრადიციულად ოჯახში ვხვდებით. კარის მეზობლები ვულოცავთ ერთმანეთს. შემდეგ ვიშლებით და ტელევიზორიდან ვიზიარებთ ქართველი ხალხის მხიარულებას.

ძვირფასო ხობელებო, ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებო! გისურვებთ წარმატებებს, ჯანმრთელობას, დაუღალავ შრომას ხობის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

განსაკუთრებით მივესალმები საზოგადოება „ხობელის“ და „ხობის მოამბეს“ თანამშრომლებს, რომლებიც ეწევიან ძალიან ჰუმანურ და მნიშვნელოვან შრომას.

დიდი მადლობა „ხობის მოამბეს“ რედაქციას, რომელმაც მომცა საშუალება კიდევ ერთხელ გამომეთქვა ჩემი ტკივილები და სურვილები ხობელებისადმი.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! დაე, 2024 წელი იყოს ქართველების გაერთიანების და გამარჯვების წელი.

მერი ლაგვილავა

წინ ახალი წარმატებებია

ხობის სპორტის ცენტრმა საქმიანობა 2023 წლის 1 ივნისს დაიწყო და ჭიდაობის, კრივის, ჭადრაკის, ბილიარდის, მძლესნობისა და ძალოსნობის ჯგუფებში 300 ახალგაზრდა დაუღალავად იღწვის წარმატების მისაღწევად. ჩვენი საქმიანობის მოკლე პერიოდის მიუხედავად, ჩვენმა სპორტსმენებმა მრავალ ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში წარმატებით იასპარეზეს, ისახელეს თავი და ასახელეს მუნიციპალიტეტი.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სერბეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში **ნუგზარ წურწუმიამ** 55 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა II ადგილი.

თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის კანდიდატების შესარჩევ ტურნირზე **ანასტასია კუკავამ** ბირთვის კვრაში II, ხოლო **ბარბარე ლეკვეიშვილმა** 400 მეტრზე რბენაში III ადგილი დაიკავეს.

ყაზახეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მკლავჭიდში **დათუნა ჯიშკარიანმა** II, ხოლო **საბა დანელიამ** III ადგილები არავის დაუთმეს.

ბათუმში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ბილიარდში (კომბინირებული პირამიდა) **სანდრო ჩიტაიამ** II ადგილი, ხოლო თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ბილიარდში (თავისუფალი პირამიდა) I ადგილი დაიკავა.

სპორტის ცენტრი აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის სპორტის ცხოვრებაშიც. უმასპინძლა და ორგანიზება გაუკეთა სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისიძებებს, მათ შორის, მუნიციპალიტეტის პირველობას მაგიდის ჩოგბურთში, კაკო ზარანდიას ხსოვნის ტურნირს ჭადრაკში. ანზორ სანიკიძის სახელობის ტურნირს ქართულ ჭიდაობაში. გოგი ბუკიას ხსოვნისადმი მიძღვნილ მუნიციპალიტეტის პირველობას ნარდში, მუნიციპალიტეტის პირველობას ბაგირის გადაწევაში. მუნიციპალიტეტის პირველობას ცხენოსნობაში „მარულა“. მაია აზარაშვილის სახელობის ტურნირს მძლეოსნობაში (კროსი), რომან მორგოშიას სახელობის ტურნირს ძიუდოში.

ცენტრში დასაქმებული მწვრთნელები, მედიკოსები და ადმინისტრაციის თანამშრომლები ძალასა და ცოდნას არ იშურებენ, რათა ახალგაზრდებს ყველანაირი პირობა შეუქმნან წარმატების მისაღწევად.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის მერიას, მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ და მხარში გვიდგანან წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.

სპორტის ცენტრის სახელით მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. მშვიდობის, ჯანმრთელობის, ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს 2024 წელი თითოეული ჩვენთაგანისთვის.

კობა კილაძე,
„სპორტის ცენტრის“
დირექტორი.

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

2024-ერთიანობისა და ბედნიერების წელი

სულ მალე 2024 წლის შემობრძანებას ვიზეიმებთ. ყველა ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ამ დღესასწაულს...

ახალი წლის მიჯნაზე ფიქრობ თითქმის ჩავლილ წელზე... როგორი იყო ის? სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანების ცხოვრება არასდროს არის მშვიდი და ერთფეროვანი.... ეს წელიც გამორჩეული იყო საბავშვო ბაღებში განხორციელებული არაერთი უმნიშვნელოვანესი, შთამბეჭდავი პროექტებით, ლამაზი და შინაარსიანი აქტივობებით, თანამშრომელთა ჩართულობით ჩატარებული ღონისძიებებით, სრულად გადამზადებული და სერტიფიცირებული აღმზრდელ-მასწავლებლებით, სხვადასხვა ტრენინგების საშუალებით თანამშრომელთა პროფესიული ზრდა-განვითარებით, საბავშვო ბაღებსა და აღსაზრდელებზე ზრუნვით, ჩვენს სფეროში მოღვაწე თანამშრომელთა აღიარებითა და დაფასებით, ჩვენს რიგებში მყოფი ხობის საპატიო მოქალაქითა და დამსახურებული აღმზრდელ-მასწავლებლებით...

მოდის ახალი, უფრო მეტი წარმატებისა და აღმასვლის წელი. გვჯერა, ერთიანობითა და თანადგომით შევქმნით უკეთეს მომავალს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ხობს, ხობელებს და სრულიად საქართველოს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი! განსაკუთრებულად ვულოცავ ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანების“ მთელ გუნდს, ჩვენს უსაყვარლეს პატარა აღსაზრდელებს, რომელთაც უამრავი ნატვრა და სურვილი ექნებათ საახალწლოდ...

სურვილების ახდენის წელი ყოფილიყოს!

გისურვებთ მეტ სითბოსა და სინათლეს თვალებში, მეტ სიკეთესა და სათნოებას–სულში, მეტ მზესა და სიყვარულს–გულში...

მშვიდობის, ერთიანობის, ბედნიერების, სიხარულის, ჯანმრთელობის, საუკეთესო ეტაპის დასაწყისის წელი ყოფილიყოს!

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით!

ეკა ხასია,
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს...

საზოგადოება „ხობელის“ ახალგაზრდული ფრთის სახელით დამდეგი წლის მობრძანებას ვულოცავ ჩემს სათაყვანებელ საქართველოს, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მომავალს–ახალგაზრდობას.

ხობში დავიბადე და გავიზარდე მრავალშვილიან ოჯახში, სტუდენტობას და აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის სტუდიაში სწავლას კარგად ვუთავსებ ერთმანეთს, ვაგრძელებ ჩემი ოცნების ხორცშესხმას–ცეკვის საფუძვლიანად დაუფლებას, პარალელურად ხობის კულტურის ცენტრის ღონისძიებებში ვმონაწილეობ, როგორც მოცეკვავე, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს...

მიყვარხართ და გეფერებით ამ საახალწლოდ ჩემო ხობელებო, თანატოლებო, ფეხბედნიერი ყოფილიყოს დამდეგი წელიწადი სრულიად საქართველოსთვის.

ანა გოგუა,
საზოგადოება „ხობელის“ გამგეობის წევრი, ახალგაზრდული მიმართულების კოორდინატორი.

ჩემი ასაკისა მოიყარეინით!

შობა-ახალი წლის მობრძანება ბავშვობიდან მხიბლავდა და მიყვარდა, თუმცა წლების მატება შუა ასაკიდან უკვე არ მომწონდა. მინდოდა ყველაფერ კარგს მოვსწრებოდი და ვჩქარობდი...

ცუდი ბავშვობა არ მქონია, ხორშში ვცხოვრობდით. ჩემი მშობლები ჭაჭუ და ძეკე შონიები სოფელში ყველას უყვარდა. შრომისმოყვარე და კეთილი ადამიანები იყვნენ.

ძალიან ახალგაზრდა დავქორწინდი საჯიჯაოელ ტაგო ალექსანდრიაზე. ერთმანეთის სიყვარულმა და პატივისცემამ ყველაფერი შეგვაძლებინა. ვიშრომეთ და ლამაზი ცხოვრება ავიწყვეთ. მე ბევრს ვშრომობდი მასთან ერთად. ვკრეფდი ჩაის და წვლილი შემქონდა ჩვენი სოფლის წარმატებებში. შრომაც დამიფასდა. დაჯილდოებული ვარ „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

ბუნებაში არაფერი იკარგება, ღმერთი ხედავს ყველაფერს. მე და ტაგო ხუთი შვილის აღმზრდელები გავხდით. ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი გავზარდეთ. თუმცა ცხოვრებამ ბევრ სიტკბოსთან ერთად მწუხარებაც მარგუნა. კარგი შვილები მყავდა, მაგრამ საცოდაობაა, რომ მათგან ქალ-ვაჟი დავკარგე, ორივენი ახალგაზრდები იყვნენ. 5 წელია მეუღლე გარდამეცვალა. ტკივილი ძნელი გადასატანია, მაგრამ გავძლიერდი... ვიცი მარადიული არაფერია „სიკვდილს არაფერი ეშველება, შეგუების გარდა“.

რთული ყოფილა ცხოვრება, მაგრამ... ცოცხალი ვარ. ბედნიერებაა, რომ მყავს 16 შვილიშვილი, 30 შვილთაშვილი და მათი შვილებიც. გამრავლდა ნათელა და ტაგო ალექსანდრიების მოდგმა, დაე, ყველანი კიდევ გამრავლდეს და გაიხარონ სიყვარულითა და სიხარულით.

მიუხედავად სულიერი ტკივილებისა, ბედნიერი ვარ. მადლობა უფალს! ჩემს მიერ ანთებულ სანთლებს უკვალოდ არ ჩაუვლია.

მინდა დავლოცო ჩემი მოდგმა, კეთილი ადამიანები, ყველა, ვისაც ვუყვარვართ და ჩვენი კარგად ყოფნა უხარია.

ვლოცავ ჩემს ქვეყანას, ჩემს ერს, საქართველოს გაერთიანება ყოფილიყოს მალე. 2024 წელს ყველა ოჯახში ჯანმრთელობა, სიხარული, ბედნიერება, დოვლათი და სიკეთე მოეტანოს. „ღმერთო მოგვხედე კეთილად!“

ასაკისა და სიბერის ნუ გეშინიათ. სიბერე ყველა ადამიანის სტუმარი ყოფილიყოს!

2023 წლის 6 ნოემბერს 100 წლის გავხდი და ჩემი მოდგმის სტუმრობამ გამახარა.

დამილოცნიხართ!!! მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!

გულწრფელად გლოცავთ 100 წლის ნათელა შონია–ალექსანდრია, სოფელ საჯიჯაოს მცხოვრები.

ბილოცავთ, ახალგაზრდებო!

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს ახალგაზრდულმა საბჭომ ფუნქციონირება დაიწყო 2023 წელს. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებისთვის გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ჩემთვის კიდევ უფრო საპასუხისმგებლო გახდა მას შემდეგ, რაც ჩემმა გუნდმა გამომიცხადა ნდობა და საბჭოში დავიკავე თავმჯდომარის პოზიცია. მეორე მხრივ ჩემთვის ეს იყო ამაღელვებელიც, ვინაიდან საბჭოს ჩამოყალიბების პერიოდში ვიყავი აბიტურიენტი, თუმცა დროის სწორი მენეჯმენტითა და მუნიციპალიტეტის სრული ხელშეწყობით, საბჭოს საქმიანობა წარმატებით მიმდინარეობდა და ასევე წარმატებით გავხდი სტუდენტი, საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის კუთხით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტში ჩემი არაფორმალური კუთხით მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარა, წლებია ამ სფეროში ვარ და ვცდილობ, თუნდაც მცირედით მაინც, ხელი შევუწყო ახალგაზრდების პრობლემების აღმოფხვრას და მათში მოტივაციის ზრდას, ვინაიდან სწორედ ახალგაზრდებზე დგას ჩვენი ქვეყანა და მთლიანი მსოფლიო.

განსაკუთრებით მოხარული ვარ იმ ფაქტით, რომ ცოტა ხნის წინ გავხდი ახალგაზრდა ევროპელი ელჩი და ეს ფაქტი კიდევ უფრო შემიწყობს ხელს, რომ ჩემი მიზნები პრაქტიკაში რეალიზდეს. აქვე აღსანიშნავია ის ფორმალური განათლებაც, რომელიც ესტატე შუშანიას სახელობის საჯარო სკოლამ მომცა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი სკოლის პედკოლექტივს.

მართალია, ჩვენი ახალგაზრდული საბჭოს ჩამოყალიბებიდან დიდი დრო არ გასულა, თუმცა ამ მოკლე ხანში ძალიან ბევრი საინტერესო და პროდუქტიული აქტივობის ჩატარება მოვახერხეთ. მათ შორის აღსანიშნავია ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალგაზრდებთან სტუმრობა და მათი პრობლემებისა თუ საჭიროებების მოსმენა. ეს იყო ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესი, რამაც ბიძგი მოგვცა კიდევ უფრო სწრაფად გვემუშავა ახალგაზრდების მიერ დასახელებული პრობლემებისა თუ საჭიროებების პოვნისა და აღმოფხვრის გზებზე.

მთელი გუნდი ვიმედოვნებთ, რომ ახალი, 2024 წელი იქნება კიდევ უფრო ნაყოფიერი და პოზიტიური ცვლილებების წელი.

ყველა ახალგაზრდას კი ვულოცავ დამდეგ 2024 წელს, იგი თქვენი სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს.

დაე, ერთად გვეზრუნოს ჩვენი მუნიციპალიტეტის და რა საკვირველია, ქვეყნის განვითარებისთვის!

მაკა კობახიძე,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე.

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან 30 წელი გავიდა...

1993 წელი იდგა. ეს იყო 90-იანი წლების ტრაგიკული პერიოდი საქართველოში და მითუმეტეს სამეგრელოში, რადგან სამეგრელო იყო ის კუთხე და მიზანში ამოღებული ის დისლოკაცია, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერები იყვნენ, ეროვნული გვარდიის ნაწილების ნავსაყუდელი და შემდგომ თავად პრეზიდენტისა და მისი თანამებრძოლების ადგილსამყოფელი.

ზვიად გამსახურდია გროზნოდან (ჩეჩნეთიდან) საქართელოში (კერძოდ, სენაკში და შემდგომ ზუგდიდში) დაბრუნდა 1993 წლის 24 სექტემბერს. ეს იყო უდიდესი სიხარული მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის. სამეგრელოს პრეფექტურებში დაიწყო პრეზიდენტის მომხრეების დანიშვნა ხელმძღვანელ პოზიციებზე. ხობის რაიონის პრეფექტად დაინიშნა ნუგზარ ლატარია. სოფლებში დაინიშნენ გამგებლები. შესაბამისად მეც მერგო სოფ. ხამისქურის მართვა. ჩემს კანდიდატურას მაშინ რეკომენდაცია გაუწია ცხონებულმა „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ ხელმძღვანელმა ხობში–ჯემალ კაკულიამ.

1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი. დავკარგეთ აფხაზეთი. მდ. ენგურზე გადმოდიოდა დევნილი მოსახლეობა ფეხით, ცხენით, მსუბუქი თუ სატვირთო მანქანებით. რაც მოასწრეს თან გამოაყოლეს ხელს. ზოგი ცარიელტარიელი გამორბოდა. თუმცა მათ იმედი ჰქონდათ რამდენიმე დღეში უკან დაბრუნებისა. რთული იყო ამ ყველაფრის ხილვა და გაზიარება. ადამიანებს სახე ჰქონდათ წაშლილი, ნერვები აშლილი და დაწყვეტილი. მთელი საქართველო და ჩვენი რაიონიც მაქსიმალურად ცდილობდა დევნილების თავშესაფრით დაკმაყოფილებას. ყველას გვეგონა, რომ რამდენიმე დღეში გაირკვეოდა და მოგვარდებოდა ყველაფერი. დევნილებიც დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ კუთხეს, მაგრამ...

უკვე ჩაბარებულ აფხაზეთზე, ზვიად გამსახურდიაზე ზეწოლა ხორციელდებოდა რუსი გენერლების მხრიდან. საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას მათ განუცხადეს, რომ ზვიადს ეღიარებინა აფხაზეთი, როგორც ცალკე სუბიექტი და მას შეუნარჩუნებდნენ პრეზიდენტის სტატუსს. ზვიადმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა. გენერალმა ჰკითხა „ბატონო ზვიად, თქვენ აცნობიერებთ რას ნიშნავს თქვენი უარი? დიახ, ვაცნობიერებ, ეს არის სიკვდილი!“ ასეთი შინაარსის იყო პრეზიდენტის პასუხი. დარწმუნებული ვარ, კრემლის გეგმის გამტარებელი რუსი გენერალი შინაგანად მოიხიბლა ზვიადის ინტელექტით და ვაუკაცობით, რადგან მან დანანებით უთხრა–„მენანებით ზვიად კონსტანტინეს ძევ“.

უკვე ნოემბერი იდგა. აფხაზეთი ფაქტიურად დაიკარგა ჩვენთვის. სამეგრელო ნელ-ნელა გადადის შევარდნაძის ხელში. შემოსულია გასამხედროებული სხვადასხვა დაჯგუფებები. დეტალებს არ მოვყვები, ყველამ კარგად ვიცით რის ფასად ხდებოდა მათი პოზიციების გამაგრება სამეგრელოში...

ჩვენი საფიქრალი იყო დევნილი პრეზიდენტის ბედი, რომელიც დაცვასთან ერთად გადაადგილდებოდა სოფელ-სოფელ, ტყე-ტყე. თუმცა არავინ იცოდა და არც იყო საჭირო ვინმეს სცოდნოდა მისი ადგილსამყოფელი. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, საქართველოს უშიშროებისთვის ცნობილი იყო რამდენიმე ვერსია და ბოლოს, სამწუხაროდ, სწორ კვალსაც დაადგნენ.

ოფიციალური ვერსიით ზვიად გამსახურდია 1993 წლის 31 დეკემბერს სოფელ ძველ ხიბულაში, ღურწკაიების ოჯახში, ტრაგიკულად აღესრულა, რაც ტელევიზიით გამოცხადდა 1994 წლის 5 იანვარს. თუმცა ეს არ ეჯერა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. საბოლოოდ, ეტაპ-ეტაპ, გარდაცვალების ფაქტი დადგინდა და ხალხმაც დაიჯერა, როცა ზვიადის გასაიდუმლებული საფლავი 15 თებერვალს გახსნეს. თუმცა გარდაცვალების კონკრეტული დეტალები საზოგადოებაში დღესაც საკამათოა.

1994 წლის თებერვალში ზვიადი გადაასვენეს გროზნოში. საქართველოს პრეზიდენტს ემშვიდობებოდა ჩეჩენი და ინგუში ერი, საქართველოდან ჩასული თანამებრძოლები, თანამოაზრე ქართული ინტელიგენცია, ემშვიდობებოდა ოჯახი და ახლობლები. მუსულმანურ ჩეჩნეთში დაცული იყო ყველა მართლმადიდებლური წესი, რასაც უზრუნველყოფდა ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი სამხედრო პატივითა და დიდებით იქნა დაკრძალული 1994 წლის 24 თებერვალს ქალაქ გროზნოში.

გროზნოდან თბილისში ჩამოასვენეს 2007 წლის 28 მარტს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზღვრიდან (ლარსიდან) თბილისამდე ყველა დასახლებულ პუნქტში ადამიანები ყვავილებით ხვდებოდნენ პრეზიდენტის ნეშტს.

2007 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდიას მთაწმინდის პანთეონში მიუჩინეს ღირსეული სამუდამო განსასვენებელი.

2013 წლის 26 სექტემბერს ზვიად გამსახურდიას მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება.

31 დეკემბერს ზუსტად ოცდაათი წელი გადის საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებიდან. ჩვენ, ეროვნული მოძრაობის ხობელი წარმომადგენლები და ყველა, ვინც პატივს სცემს საქართველოს პირველ პრეზიდენტს, 30 დეკემბერს ვესტუმრებით სოფელ ძველ ხიბულას და მის სახელზე ჩატარებულ პანაშვიდზე პატივს მივაგებთ ზვიად გამსახურდიას სულს...

ლევან ხოფერია,
ხობის „მუზეუმების გაერთიანების“ მენეჯერი

უკეთესი მომავლის იმედით

ხობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხედვა–იყოს არაფორმალური განათლების თანამედროვე კერა გულისხმობს, სასწავლო პროცესში დავნერგოთ ეფექტური ინტერაქტიული სასწავლო აქტივობები, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე: მათი გამოყენება ხელს შეუწყობს შეიქმნას განვითარებაზე ორიენტირებული არაფორმალური სივრცე და შესაბამისად სწავლების პროცესი ნაკლებად დაემსგავსება რეპეტიტორულ და სასკოლო განათლებას.

მოსწავლეთა სახლის ხედვის და მიზნების საპასუხოდ შევიმუშავეთ გზამკვლევი სახალისო–შემეცნებითი აქტივობები, რომლებიც შეესაბამება არაფორმალური განათლების თანამედროვე მიდგომებს. აქტივობების ნაწილი ავიღეთ ეროვნული სასახლის ლიტერატურიდან, ნაწილი კი თავად ჩვენს მიერ არის შექმნილი და შემუშავებული. აქტივობები მრავალფეროვანია და ის სასწავლო პროცესში აქტიურად დავნერგეთ. თავიდან წარმოვადგინეთ ნიმუშის სახით, შემდეგ პედაგოგებმა თავად შეძლეს მათი ადაპტირება კონკრეტული საგნის სფეროს გათვალისწინებით.

მოცემული აქტივობები სხვადასხვა მიზანს ემსახურება. თუმცა ყველა მათგანს აქვს საერთო–სახალისო და არაფორმალური გარემოს შექმნა, მოსწავლეთა ჩართულობა, თანამონაწილეობა.

სასწავლო პროცესის მაღალორგანიზებულად ჩატარების პარალელურად წრეების ხელმძღვანელები წრის წევრებთან ერთად ატარებენ გასვლით ღონისძიებებსაც.

ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია წიგნის საჯაროდ კითხვის დღე, გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, 9 აპრილი, როგორც სიმამაცის, თავისუფლების, ქართული სულის გამოღვიძებისა და თავგანწირვის სიმბოლო, დედა-ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, ევროპის დღეების აღნიშვნა, მოსწავლეთა ნამუშევრების პერსონალური და ჯგუფური გამოფენები.

წელსაც მხატვრულ–შემოქმედებითმა ჯგუფებმა წარმატებები მოუტანეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს.

ჩვენმა მედოლეებმა (ხელმძღვანელი თენგიზ ჩიტაია) და მოცეკვავეებმა (ხელმძღვანელები მამუკა გვასალია და პაატა ჭითაშვილი) საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში ფესტივალის მთავარი პრიზები და მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს.

ასევე ჩვენი მოცეკვავეები მოწვევით იმყოფებოდნენ ბულგარეთის რესპუბლიკაში. ქალაქ ნესებირში, სადაც ჩატარდა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი. ამ ფესტივალზე ჩვენი მოცეკვავეები გრან-პრის მფლობელები გახდნენ.

ასეთი და მრავალი სხვა აქტივობებით ვხვდებით დამდეგ ახალ წელს. ვულოცავთ ყველას და ახალ-ახალი წარმატებების, უკეთესი მომავლის იმედით გავაგრძელებთ მომავალ წელს.

აზა თათარიშვილი,
ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მენეჯერი.

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

„ადამიანისთვის მცირეოდენი სიკეთის მოტანა შევძელი და ვფიქრობ, მადლიერიც ბევრი მყავს...“

ღირსეული თანამემამულე

ძნელია ერთ პატარა საგაზეთო სტატიაში ჩაატიო ისეთი ღირსეული ადამიანის ცხოვრების თუნდაც მცირე მონაკვეთი, რადგან ასეთი ადამიანები მეტად დატვირთული რიტმით ცხოვრობდნენ, შრომობდნენ და დღესაც ახერხებენ კვალი დატოვონ თავიანთ ყოფაში. დღევანდელი სულიერი ყოფის ფონზე ხანდახან გვავიწყდება, რომ ჩვენს გვერდით, ღვთისწყალობით, კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც უტყუარი გუმანი აქვთ და მათ ერთი საერთო სახელი „კარგი ხობელი“ ჰქვია... და თუკი ასეთ ადამიანებს დავინახავთ, მათ შრომას დავაფასებთ, მოვეფერებით, მართლაც იმსახურებენ სიყვარულს, აღიარებას ამით ჩვენც პირნათელი ვიქნებით, როგორც წარსულის, ასევე მომავლის წინაშე.

ბატონი ლაჟვარდ ბუკია საზოგადოება „ხობელის“ ერთ-ერთი საპატიო წევრი, ღირსეული პიროვნებაა რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება მშობლიური რაიონის კეთილდღეობის საქმეს შეალია, საქმე კი უკვალოდ არ ქრება, იგი მადლიერებად აღიბეჭდება ადამიანების გულებში და ლოცვის სიტყვებად აღევლინება.

„ადამიანისთვის მცირეოდენი სიკეთის მოტანა შევძელი და ვფიქრობ მადლიერიც ბევრი მყავს.“ სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანის ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა და ცხოვრობს ბატონი ლაჟვარდი და მადლიერიც ბევრი ჰყავს.

მდიდარია მისი სავიზიტო ბარათი. იმდენი დადებითი შტრიხები აქვს მის პორტრეტს, ისე ღრმაა მისი შინაგანი სამყარო, რომ მთლიანად და სავსებით შეიძლება ვერ დავახასიათო, მაგრამ სადაც უმოღვაწია, ყველგან დაუმსახურებია პატივისცემა და სიყვარული, უყვარს ხობი და ხობელები.

მის ცხოვრებაშიც ყოფილა შეფერხებები, ზიგზაგები, მაგრამ საბოლოოდ ყოველთვის კაცობას და პატიოსნებას გაუმარჯვნია. მას იცნობენ უაღრესად საქმიან, წესიერ, პროფესიონალ და კაცური ღირსებით დაჯილდოებულ ადამიანს, რისთვისაც სიცოცხლის არსი სამ კრიტერიუმში დევს–საქმე, ოჯახი, ქვეყანა. აქედან რომელია პირველი და რომელი მესამე პირობითია და მთელი მისი ცხოვრებაც ამ სამეულის სინათლითაა განათებული, დანარჩენი კი–მიდის წუთისოფელი და ჩვენც თან მივყავართ, რაც უშრომია და სიკეთე უკეთებია წინ ხვდება, ყველაფერს უსაზღვრავს უზენაესი.

ასეთია ცხოვრება!..

ცხოვრება კი ყველას თავის ოღრო-ჩოღრო გზაზე გვატარებს, ხან წავიბორძიკებთ, ხანაც ფრთებშესხმული დავფრინავთ, ზოგჯერ რომ გვინდა ისე კარგად შეიძლება არ გამოგვივიდეს რამე, მაგრამ ეს როდია კაიკაცობის საზომი. ნათქვამია „საქმემან შენმა გამოგაჩინოსო“. ბატონ ლაჟვარდს ახალგაზრდობიდან მოყოლებული დღემდე კარგი საქმის მეტი რა უკეთებია. მას გავლილი გზიდან უკან მოხედვის არ ეშინია, რადგან იცის, რომ მთელი ცხოვრება, განსაკუთრებით კი უახლოესი წარსულის ურთულესი პერიოდი უშეცდომოდ გაიარა. სხვანაირად ალბათ არ შეიძლებოდა. როგორც თავის ხალხზე უზომოდ შეყვარებულს და მის უმნიშვნელოვანეს ნიუანსებში ღრმად გათვითცნობიერებულს, სიტყვის კაცს, უკომპლიქტოს, ჭირში ჭირისუფალს და ლხინში ლხინისუფალს არაფერი შეშლია. ერთგულად, პირნათლად, უმწიკვლოდ, უანგაროდ, საქმის დიდი სიყვარულით ემსახურა ქართველ ხალხს. მას მუდამ წესრიგში ჰქონდა ყველაფერი. საქმე, რომელსაც განაგებდა სრულფასოვნად ისე, როგორც ეკადრებოდა მას.

გადავავლოთ თვალი მის განვლილ გზას;

დაიბადა 1939 წელს ხობის რაიონ სოფელ ხეთაში, დაამთავრა მშობლიური რაიონის სკოლა. პარარელურად თამაშობდა ფეხბურთს ხობის რაიონის ნაკრებში საქართველოს პირველობაზე.

1959 წელს ჩაირიცხა ქ. ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტში. სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით, როგორც ერთ–ერთი წარმატებული ახალგაზრდა სპეციალისტი, გაანაწილეს სახ. ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის განკარგულებაში. თბილისის ლენინის სახელობის რაიონში სახბანკის განყოფილებაში საკრედიტო ინსპექტორად. რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, აგრომრეწვბანკის (ლიბერთი) ბანკის ხობის ფილიალის მმართველი, „აიეტ ბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე.

რვა ათეულ წელს გადააბაჯა ბატონმა ლაჟვარდიმ ღმერთივით კაცმა. მის კერაზე ულამაზეს მეუღლე ქალბატონ იამზე კაკაბაძესთან, რომელიც პროფესიით პედაგოგი გახლდათ, (ნათელი დაადგეს მის სულს) სამი ვაჟკაცი აღიზარდა, ისინი მამის კვალს გაყვნენ ფინანსისტები არიან. ცხოვრობს და ხარობს შვილების და შვილიშვილების წარმატებებით. ბუნებით ოპტიმისტ ადამიანს ნამდვილად ეიმედება ხვალინდელი დღის, რომ საქართველო გამთლიანდება.

შრომობს, ჩვეული ენერგიით, უძღვება საკარმიდამო მეურნეობას. მაოცებს მისი მხნეობა, ენერგია, შრომისმოყვარეობა. ამაგდარის საოჯახო არქივს კი მისი თავდადებული შრომის დამადასტურებელი უამრავი ჯილდო და ფოტო სურათი ამშვენებს.

მინდა გავიხსენო საზოგადოება „ხობელის“ დარბზში ბატონმა ლაჟვარდიმ თუ როგორ სიხარულით, სიამაყით მოიტანა ფოტო-სურათები და საჩუქრად გადასცა საზოგადოებას. ფოტო-სურათზე აღბეჭდილი იყო 60-70 წლებიდან მოყოლებული ხობის კოჰორტა, თუ როგორ აშენებდნენ მისი კოლეგები, მეგობრები ბატონები: ნოდარ შონია, ვალტერ ბერაია, ჯანგირ შუშანია, ველოდი შონია, კარლინგ ჯობავა, კარლო ბერაია, დიანა სალაყაია და სხვები (აცხონოს მათი სულები უფალმა).

მალე 2024 წელი შემოაბიჯებს. ვუღოცავ ახალი წლის შემობრძანებას მთელ მის საგვარეულოს, ვინც ღირსეულად ცხოვრობს ქართულ, ტრადიციულ დიდ ოჯახში და მოკრძალებით აღებენ სიცოცხლის უკვე მერამდენე ცხრაკლიტულს.

ღრმა პატივისცემით, სიყვარულით და საზოგადოება „ხობელის“ სახელით კიდევ ერთხელ ვუღოცავ ბატონ ლაჟვარდს შობა-ახალ წელს, ღმერთმა არ მოაკლოს ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე.

ნაირა ბერაია,
საზოგადოება „ხობელის“
პასუხისმგებელი მდივანი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრთან“ არსებულ ბავშვთა თეატრის მსახიობებს და რეჟისორ მარინე ჯღარკავას შეხვდა და ქალაქ ბათუმში ხელოვნების საერთაშორისო სატელევიზიო კონკურს-ფესტივალზე გრან პრის მოპოვება მიულოცა.

შეხვედრას მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია, მერის მოადგილე დავით ბერაია და „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ დირექტორი კობა კობახიძე ესწრებოდნენ.

კონკურს-ფესტივალზე „TV 100 ვარსკვლავი“ ხობის ბავშვთა თეატრი ნოდარ დუმბაძის მოთხრობების („ბოშები“, „HELLFDOi”) მიხედვით, მარინა ჯღარკავას მიერ დადგმული სპექტაკლით–„აქ ჩემი სახლია“ წარსდგა.

ხობის ბავშვთა თეატრმა საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა და გრან პრი–50% დაფინანსება მიიღო (ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად). ყველა მონაწილეს გადაეცა საპატიო დიპლომები და მედლები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის შუა ქვალონის და ნოჯიხევის 2 საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ნოჯიხევის და შუა ქვალონის სკოლები მოსწავლეებს, სრულად ადაპტირებულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილ, კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში მიიღებს.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ღელე შხერულაზე ხიდის და გაბიონის მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტს ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსური მხარდაჭერით მერია ახორციელებს.

პროექტით გათვალისწინებულია ლითონის ხიდის მშენებლობა, ორ ადგილას რკინა-ბეტონის მილხიდის და ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობა.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით გზაზე გადაადგილება უსაფრთხო გახდება, ხოლო საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დატბორვის რისკი მინიმუმამდე შემცირდება.

სარეაბილიტაციო მონაკვეთზე წყალდიდობის დროს გზის ქვედა ფერდი ირეცხებოდა, ხოლო საკარმიდამო მიწის ნაკვეთები იტბორებოდა.

სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 218 000 ლარს შეადგენს.

სელოთოთანა

მადლობა!

ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით მადლობას მოვახსენებ ყველას ჩვენი ოჯახის დიდი მწუხარების–შვილის გარდაცვალების გამო გამოვლენილი გულწრფელი გულისტკივილისა და საოცარი თანაგრძნობისთვის!

მადლობა სასულიერო პირებს–მამა ილიას, მამა იაკობს, მამა კირიონს ღვთისნიერი ნუგეშისა და ეკლესიის წიაღში ჩვენი მიქცევის წარმატებული მცდელობისთვის!

მადლობა განსაკვირველი თანადგომისა და ჭირისუფლობისთვის ჩვენს უახლოეს ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს, მთელს მსოფლიოში მიმოფანტულ თუ საქართველოში მყოფ ჩვენი შვილების მეგობრებს. მადლობა მშობლიურ ქალაქს!

მადლობა მანუჩარ ბულიას, რომელმაც იმ შორეულ, შვიდმილიონიან ქალაქში მარტოდმარტომ უჭირისუფლა გარდაცვლილ მეგობარს, გააპატიონსნა და ისე გამოამგზავრა საქართველოში.

მივმართავ ჩემს მეუღლე ნარგიზას იმ სიტყვებით, რომლითაც იმ დღეებში ცდილობდნენ ჩემს ნუგეშისცემას.

შენ სჭირდები ილიას (იკას) ხსოვნას. შენ სჭირდები ლაშას, მის ოჯახს, ჩვენს შვილიშვილებს. სჭირდები ნათესავებს, მეზობლებს, ჩვენი ოჯახისა და ჩვენი შვილების მეგობრებს, სჭირდები შენს საოცარ, დიდ გაერთიანებულ კოლექტივს, სჭირდები შენს აღსაზრდელებს, სჭირდები ქალაქს, რომელმაც „საპატიო მოქალაქედ“ აგირჩია. შენ მჭირდები მეც, რადგან მიუხედავად ამ საოცარი თანადგომისა, ეს უბედურება ძალიან პიროვნულია და ჩემი და შენი გადასატანია მხოლოდ!

ჩვენს შვილს სიცოცხლეში არ უყვარდა სხვების შეწუხება და იმ საბედისწერო დღესაც, იმ შორეულ ქალაქში, მარტოდმარტო ებრძოდა სიკვდილს და თუ რამის გაფიქრება მოასწრო ბოლო წამებში (შენ მას ყველაზე მეტად უყვარდი) და ის ფიქრიც შენთან იქნებოდა დაკავშირებული–დედაჩემი ვერ გადაიტანსო ამას. ილიას (იკას) იმ ფიქრის გამო უნდა გაუძლო!

ჩვენ ყველამ ვიცით, ვის მიმართ ითქვა პირველად სამი საკრაული სიტყვა, შემდეგ ის სიტყვები სხვებსაც მიუსადაგეს და არც მე ჩამეთვლება მკრეხელობაში, ალბათ, ჩემი შვილის სახელის ხსენებისას, გულში თუ გავიმეორებ იმ სიტყვებს–„სიკვდილითა, სიკვდილისა დამთრგუნველი“!

დიდება უფალს! უცოდველი ამ ქვეყნად ღმერთის გარდა არავინაა! ნუ განვიკითხავთ, რადგან განკითხვის უფლება მხოლოდ მესიებს აქვთ!!!

დიდი მადლობა!

პატივისცემითა და უდიდესი მადლიერების გრძნობით

ედიშერ წურწუმია

ბაკო სალაყაია

დრო გადის დაო,
შენ კი ისევ ისე ხარ ალბათ,
არ გემატება აღარც წლები,
აღარც ტკივილი,
მე კი ისეთი აღარა ვარ,
როგორც უწინ
და ვეღარ მივყევბი
შემოდგომას ჩვეულ
ღიმილით.
არც მესიზმრები,
ვერსად გხედავ,
ვერც ხმას მაგონებ,
მე სულ ვთამაშობ
მოთმინებას ჩვეულ
სიმტკიცით
და ყოველ დილით
თვალებივით ტკივილს
ვიღებავ,
ყელზე ვიკეთებ უშენობას
ცრემლის მძივივით.
დრო გადის დაო,
მოსაყოლი რამდენი ჩნდება,
რამდენი დარდი, წვიმა,
ქარი, სულის ტკივილი,
არავინ მითხრას განელდება,
ფერი ეცვლება-
სად გაგონილა
ფერშეცვლილი დიდი
ტკივილი?!

და დიკა სალაყაია

ვანო შეროზია



ულმობელია წუთისოფელი... ერთი წელი გავიდა რაც სამუდამოდ დავემშვიდობეთ ვანია შეროზიას, კეთილსინდისიერ თანამშრომელს, საუკეთესო მეგობარს, საიმედო კაცს...

მან უკანასკნელი დღე სამსახურში გაატარა, მეგობრების თვალწინ დაასრულა სიცოცხლე...

გვიყვარდა და ვუყვარდით...

სოფელ საჯიჯაოში ცხოვრობდა და სამსახურში თითქმის ყველაზე ადრე მოდიოდა, „დაგვიანებულებს“ ისეთი ღიმილით მოგვესალმებოდა, თითქოს გვეუბნებოდა, მე საჯიჯაოდან მოვედი და თქვენ რა გემართებათო.

მეუღლის ადრე გარდაცვალების შემდეგ თითქოს თვალებში სხივი გაუქრაო, ულიმილო კაცი გახდა. ორი ვაჟის და შვილიშვილების სიყვარულით აგრძელებდა ცხოვრებას.

ელექტრო ინჟინერი იყო, თავისი მოვალეობის (და არა მარტო) უბადლო შემსრულებელი, ამიტომაც ჩვენი ვანიაო, ასე მიმართავდა სიყვარულით ყველა...

წავიდა და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი, 21 დეკემბერი მისი გარდაცვალების დღეა, როგორც ყოველთვის, მისი გახსენება ტკივილიანია ჩვენს მრავალრიცხოვან სამსახურში...

უფალს ებარებოდეთ ბატონო ვანო, ისღა დაგვრჩენია სიყვარულით გაგიხსენოთ.

ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები.

ლამარა ქორაია

ხობელ მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა კეთილშობილი, გულისხმიერი და განსაკუთრებული პიროვნული თვისებების მქონე, მაღალპროფესიონალი ლაბორანტი, ქალბატონი ლამარა ქორაია. იგი ახალგაზრდების მეხსიერებაში დარჩა, როგორც სანიმუშო დედა, არჩეულ პროფესიაზე შეყვარებული, წესრიგიანი და სამართლიანი პიროვნება.

წლების წინათ სრულიად ახალგაზრდა, თბილისის სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული დაუბრუნდა მშობლიურ ხობის რაიონული საავადმყოფოს ფერშალ ლაბორანტად და მას შემდეგ ათეული წლები ემსახურებოდა პაციენტებს ჩუმად და უხმაუროდ.

წლებმა დაათოვა, დამსახურებულ პენსიაზე გასულს საფიქრალ-საზრუნავს რა გამოულევდა, ხშირად იხსენებდა ტკბილმწარე ცხოვრებას, ახალგაზრდობას...

თავისი ცხოვრება ინჟინერ გერონტი დიხამინ-ჯიას დაუკავშირა, მაგრამ ოცნებები მალევე დაემსხვრა, თანაცხოვრების ხუთი წლის შემდეგ სიყვარულით სავსე ოჯახს უბედურება დაატყდა–ბატონი გერონტი ინფარქტით გარდაიცვალა და ლამარა დეიდა დარჩა სამი მცირეწლოვანი შვილის–ლალი, ლორიტა და გიზოსთან ერთად... მართალია ობლობაში, მაგრამ ისე, რომ უმამობა არ ეგრძნოთ, გამოზარდა სამივე შვილი, შესაფერისი განათლება მისცა... უფლის წყალობით შრომისა და ჯაფის შედეგიც მოიმკო...

მისი მადლიერი პაციენტებისა და მათი მონაგარის მოკითხვები და სამადლობელი გულს უთბობდა, ახალგაზრდობას ახსენებდა..

ლამარა დეიდა–ასე მივმართავდით მის ხელში დაფრთიანებული კოლეგები, სითბოსა და სიყვარულს არ ვაკლებდით...

წავიდა ახალგაზრდა კოლეგებთან იზა ლომთაძესთან და ბელა კემულარიასთან, წავიდა და თან წარიმძღვარა დიდი სიყვარული და პატივისცემა, დიდი გულისტკივილი დაგვიტოვა.

უფალს ებარებოდეთ ჩვენო გულისხმიერო კოლეგავ, მადლობა ყველაფრისთვის, რასაც თქვენგან დაუყვედრებლად ვსწავლობდით, დედობრივი მზრუნველობის, სიკეთისა და სიყვარულისთვის.

ნათელი დაადგეს თქვენს საფლავს.

კოლეგების სახელით
ნონა ნაჭყებია

ექიმ-პედიატრი სვეტლანა გვათუა მწუხარებაში თანაუგრძნობს ლაბორანტ ლალი დიხამინჯია-ქირიას კეთილშობილი და ღვაწლმოსილი დედის

ლამარა ქორაიას

გარდაცვალების გამო.

2024 მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2024

ერთად აღვნიშნოთ ახალი წლის დღეები საქართველოში!

მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, 2 იანვარს ხობში საახალწლო ღონისძიება გაიმართება.

ღონისძიების ადგილი: ხობის ცენტრალური პარკი:

13:00-14:00–საახალწლო მელოდიები;

14:00–კოსტიუმირებული ორკესტრისა და ზღაპრის გმირების მსვლელობა;

14:00-19:00–საშობაო ბაზრობა: ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, გლინტვაინი, ცხელი შოკოლადი;

14:00-18:00–საბავშვო სივრცე: საახალწლო სათამაშოების დამზადების გაკვეთილები;

15:00–16:00–ანიმატორების საბავშვო პროგრამა;

16:00-17:30–ბავშვების შეხვედრა თოვლის ბაბუასთან;

17:30-17:45–კოსტიუმირებული ორკესტრის მსვლელობა;

18:00-20:00–შემსრულებლები: გიორგი მახარაშვილი, ნოდარიკო ხუციშვილი და ბენდი, ჯგუფი „შერეკილები“;

20:00–საზეიმო ფოიერვერკი. წამყვანი ანა კოშაძე.

რედაქტორი–ბეჭან ნადარაია.
ტელ: 579-72-61-72
სარედაქციო კოლეგია:
მერი ლაგვილავა–პასუხისმგებელი მდივანი, ნანი კილასონია–ჟურნალისტი, კობა კობახიძე, გოგიტა ჩიტაია, გოგი ბუკია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ნინა ბუკია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.